პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 32 (19174) ხუთშაბათი, 7 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წინსვლის მძლავრი ნაბიჯები

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

1984 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წელს — დინამიკურად ვითარდებოდა საზოგადოებრივი წარმოება, გაიზარდა მისი მასშტაბი და ეფექტიანობა, ამაღლდა ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა.

განვლილ წელს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად შედეგებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1984 წელი პროცენტობით 1983 წელთან შედარებით
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	107
მრეწველობის პროდუქცია — სულ	106,3
მათ შორის:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	105,7
მოხმარების საგნების წარმოება	107,4
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	107,5
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	100,9
ძირითადი ფონდების ამოქმედება	105
კაპიტალური დაბანდებანი	109
მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა	101,7
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	104,9
სოფლის მეურნეობაში (საზოგადოებრივი წარმოება)	109,8
მშენებლობაში	104
მოგება სახალხო მეურნეობაში	108,4
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	104
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	104,6
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	102,9
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობაში	103
მოსახლეობისადმი განაცემები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან:	
სულ	104
ერთ სულ მოსახლეზე	103
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	107,4
მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	110,4
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	105

ეროვნული შემოსავალი 1983 წელთან შედარებით გაიზარდა 780 მილიონი მანეთით და შეადგინა 10 მილიარდი მანეთი (ფაქტობრივი ფასებით).

მრეწველობის პროდუქცია 1983 წელთან შედარებით გაიზარდა 680 მილიონი მანეთით და შეადგინა თითქმის 11,5 მილიარდი მანეთი (საწარმოთა საბითუმო ფასებით 1982 წლის 1 იანვრისათვის).

სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1984 წელს მიღებულია თითქმის 2,4 მილიარდი მანეთისა, რაც 200 მილიონი მანეთითა და მეტად აღემატება საშუალო წლიურ მოცულობას ხუთწლედის წინა სამი წლის განმავლობაში.

ამოქმედებულია 2220 მილიონი მანეთის **ძირითადი ფონდები**, ...

... ობებით უზრუნველყოფილია 120 ათასი კაცის შრომის ეკონომია, ეროვნული შემოსავლის მატების 90 პროცენტი. შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, კადრების დენადობა.

გაიზარდა მშრომელთა **აქტიურობა** და გაფართოვდა მათი მონაწილეობა წარმოების მართვისა და სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში. შრომითი კოლექტივების დიდმა უმრავლესობამ წარმატებით გაართვა თავი შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით ზეგეგმით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით შემცირების სოციალისტურ ვალდებულებებს.

ამასთან ერთად მთელმა რიგმა საწარმოებმა და გაერთიანებებმა ვერ შეასრულეს მატერიალური რესურსების მომჭირნეობის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების დავალებები და სოციალისტური ვალდებულებები. სერიოზული ნაკლოვანებები არის მეორეული ნედლეულის დამზადებაში.

I. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

ბრძოლდებოდა სახალხო მეურნეობის დარგების ტექნიკური განახლება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე, ხორციელდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებანი. განვლილ წელს:

შეიქმნა ახალი ტიპის მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების ნიმუშები	60
სამრეწველო საწარმოებში დადგმულია მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზები	104
კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია უბნები, საამქროები, წარმოებანი	70
შეიქმნა აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები	5
მათ შორის ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები	2
სახალხო მეურნეობაში გამოყენებულია:	
გამოგონება	300-ზე მეტი
რაციონალიზატორული წინადადება	დაახლოებით 26 ათასი

მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა შეადგინა 26,3 ათასი კაცი.

... რატის განახლების ტემპი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. არ შესრულებულა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ცალკეული დავალებანი.

II. მრეწველობა

პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შესრულდა 102,2 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა **მრავალ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების** დავალებანი.

სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1983 წელთან შედარებით გაიზარდა 6,3 პროცენტით. ეს მეტია, ვიდრე საშუალოდ მიმდინარე ხუთწლედის წინა სამი წლის განმავლობაში. მონაცემები მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით მოგვყავს ქვემოთ:

მონაცემები მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით	წარმოების მოცულობა 1984 წელს პროცენტობით 1983 წელთან შედარებით
ელექტროენერგეტიკა	105
სათბობის მრეწველობა	79
შავი მეტალურგია	104
ფერადი მეტალურგია	105
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	103
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	109
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობა	110
საშენ მასალათა მრეწველობა	104
მსუბუქი მრეწველობა	105
კვების მრეწველობა	108
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოება	101

უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საერთოდ მრეწველობაში, მიაღწია მანქანათმშენებლობამ და ლითონდამუშავებამ, ხე-ტყის, ხის დამმუშავებელმა, ცელულოზა-ქაღალდისა და კვების მრეწველობამ. უზრუნველყოფილია მოხმარების საგნების („ბ" ჯგუფის პროდუქცია) წარმოების უპირატესი ტემპი.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,9 პროცენტით. ამ გზით მიღებულია წარმოების მატების 81 პროცენტი. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდების ვალდებულებანი.

... შემცირების დავალებანი. გაიზარდა მოგება. თვითღირებულების შემცირების გზით დაზოგილია 46,5 მილიონი მანეთი.

რამდენადმე გაუმჯობესდა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ნაწარმის ხარისხი. საატესტაციო პროდუქციის ნახევარზე მეტი გამოდიოდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნით.

ცალკეული **სამინისტროებისა და უწყებების** საწარმოთა მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მონაცემები მოგვყავს ქვემოთ:

საერთო-საკავშირო სამინისტროების საწარმოები	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1984 წელი პროცენტობით 1983 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	101	103	105
ნავთობის მრეწველობის	78	52	52
ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	99,9	88	90
გაზის მრეწველობის	97	111	111
ქვანახშირის მრეწველობის	104	104	105
შავი მეტალურგიის	101	104	102
ფერადი მეტალურგიის	102	106	105
ქიმიური მრეწველობის	101	107	107
მინერალური სასუქების წარმოების	93	93	95
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	103	104	118
ელექტროტექნიკური მრეწველობის	104	106	114
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	100,2	108	106
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების	100,7	88	110
საავტომობილო მრეწველობის	100,7	101	92
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	103	97	103
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	103	104	105
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის	105	115	113
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის	102	122	117
მსუბუქი მრეწველობის	107	111	110
კვების მრეწველობის	103	105	103
ხორცისა და რძის მრეწველობის	102	104	109
თევზის მეურნეობის	117	110	112
სამედიცინო მრეწველობის	101	107	104
გზათა	101	100,6	102
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები			
ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის	101	109	109
საშენ მასალათა მრეწველობის	100	103	104

(დასასრული მე-2 გვ.)

ვიცოდეთ მასების განწყობილება, მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებანი

ღია წერილის დღე ზუგდიდის მანქანათსაშენებელ ქარხანაში

რესპუბლიკაში დაიწყო ერთიანი ღია წერილის დღე. ეს არის საქართველოს კომპარტიის საქმიანობის პრაქტიკაში ერთ-ერთი ახალი ფორმა, რომლის მიზანია უკეთ ვიცოდეთ მასების ...

... კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, იმ დებულებებისა და დასკვნების წარმატებით განხორციელებას, რომლებსაც შეიცავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური ...

... პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები, მათი ხელმძღვანელები მივიდნენ შრომით კოლექტივებში, ესაუბრონ მუშებსა და მოსამსახურეებს, გაეცნონ მათ მო- ...

... ვთ, რომელიც ეს-ეს არის ყალიბდება, პირველ ნაბიჯს დგამს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის — თანამედროვეობის ძირითადი პროცესის დაჩქარების გზაზე. ახალგაზრდა კოლექტივს აქვს ...

... მტკივნეულ საკითხებს, ამასთან არ ფარავდნენ კერძო პრობლემებსაც. ეს შეხვედრა გადაიქცა შრომითი კოლექტივების დიდი და პატარა პრობლემებისადმი ნამდვილად სახელმწიფოებრივი, საქმიანი მი- ...

გიური კლიმატი თითოეულ შრომით კოლექტივში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ...

... ბა იმის გამო, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დაბალია სამელიორაციო ტექნიკის გამოყენების, აგრეთვე სარწყავი სისტემების ექსპლოატაციის დონე, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს სარწყავი მიწების ნაყოფიერებაზე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თვითღირებულებაზე.

... მეურნეობებში შექმნილი დადებითი გამოცდილების შესწავლა და ფართოდ გავრცელება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

დეპუტატობის კანდიდატები

მაია კალმახელიძემ 1979 წელს დაამთავრა თბილისის 46-ე საშუალო სკოლა და მაშინათვე № 48 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს მიაშურა. სასწავლებლიდან წარჩინებული ქალიშვილი თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში გაგზავნეს. საწარმოში მაია გულმოდგინედ ხვეწავდა თავის ოსტატობას და მალე ყველას ყურადღება მიიპყრო. ახალბედა მუშა თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე გახდა.

1982 წლიდან მაია კალმახელიძე სკკპ წევრია. იყო ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატი, არჩეულია ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის წევრად, კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის წევრად, ხელმძღვანელობს ფაბრიკის ზედა ტანსაცმლის საამქროს ალკკ ბიუროს.

მაია კალმახელიძე რეგისტრირებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 82 ოქტომბრის საარჩევნო ოლქში.

სურათზე: მაია კალმახელიძე.

3. ვენშიურის ფოტო.

(დასასრული მე-2 გვ.)

წინსვლის მძლავრი ნაბიჯები

(დასასრული)

მსუბუქი მრეწველობის	100,9	105	105
კვების მრეწველობის	101	103	103
ღვინის მრეწველობის	102	104	110
ჩაის მრეწველობის	106	104	102
ხილბოსტნეულის მეურნეობის	104	109	104
ხორცისა და რძის მრეწველობის	107	105	105
დამზადების	111	107	103
მშენებლობის	100	103	105
სასოფლო მშენებლობის	103	107	105
ადგილობრივი მრეწველობის	100,2	105	104
საბინაო-კომუნალური მეურნეობის	102	104	103

შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულა ყველა სამრეწველო სამინისტრომ და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა უმრავლესობამ.

პროდუქციის რეალიზაციისა და ზრდის ტემპის გეგმის შესრულების მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1984 წელი პროცენტობით 1983 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
აფხაზეთის ასსრ	104	105	103
აჭარის ასსრ	103	102	101
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	103	109	106
ქალაქები:			
თბილისი	102	107	106
სოხუმი	102	104	103
ბათუმი	102	100,6	100,2
ცხინვალი	102	108	106
ქუთაისი	102	102	98
რუსთავი	98	103	101
ფოთი	114	108	109
გორი	102	94	96
ზუგდიდი	101	107	110
ჭიათურა	101	102	102
ტყიბული	104	104	104
გაგრა	103	99	94
წყალტუბო	104	116	114
ტყვარჩელი	107	97	95
მარნეული	103	124	108

1984 წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ელექტროტექნიკური მრეწველობის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროთა საწარმოების მიხედვით ხორციელდება დაგეგმვასა და სამეურნეო საქმიანობაში საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) უფლებათა გაფართოებისა და მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ეკონომიკური ექსპერიმენტი. ექსპერიმენტზე გადაყვანილი გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლები გაუმჯობესდა. მათმა უმრავლესობამ შესრულა მიწოდების ვალდებულებანი სრული მოცულობით. ამავე დროს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ შესაძლებლობებს, რომლებსაც მეურნეობრიობის ახალი პირობები ქმნის.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება შეადგინა	1984 წელს წარმოებულია	1984 წელი პროცენტობით 1983 წელთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატ-საათი	15,3	105
მანგანუმის მადანი, მილიონი ტონა	2,8	107
ფოლადის მილები, ათასი ტონა	515	102
მინერალური სასუქები (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	122	77
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	23,7	103
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	27,5	107
სინთეზური სარეცხი საშუალებები, ათასი ტონა	4,8	98
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	107	118
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	40,1	106
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	32,3	107
გამომთვლელი ტექნიკის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	39,3	81
კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	29,3	113
მაგისტრალური ელმავლები, მილიონი ცხენის ძალა	1,0	99,3
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	5,9	85
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), ათასი მკვრივი კუბური მეტრი	163	98
ქაღალდი, ათასი ტონა	40,1	103
ასაწყობი რკინაბეტონი, მილიონი კუბური მეტრი	2,2	121
შეკერილი ნაწარმი, მილიონი მანეთისა	515	108
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	53,9	105
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	15,7	102
ხორცი — სულ, ათასი ტონა	248	104
მათ შორის სამრეწველო გამომუშავებისა	95,4	112
ძეხვეული, ათასი ტონა	35,2	103
საკვები თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი მანეთისა	67,1	114
ერბო-კარაქი, ათასი ტონა	1,1	91
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა	205	106
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	34,3	92
ყურძნის ღვინო, მილიონი დეკალიტრი	22,6	92
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	11,9	116
ფხვნილი შაქარი, ათასი ტონა	6,5	69
მინერალური წყლები, მილიონი ნახევარი ლიტრი	413	113
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	9,8	92
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	60,9	104
ხარისხოვანი დაფასოებული ნატურალური ჩაი, ათასი ტონა	83,7	102
პაპიროსი და სიგარეტი, მილიარდი ცალი	18,5	105
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	667	102
მათ შორის ხილ-ბოსტნეულისა	648	102
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	3,0	99,2
ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, ათასი ცალი	14,1	159
ავეჯი, მილიონი მანეთისა	142	110

შესრულდა ქვანახშირის, მანგანუმის მადნის მოპოვების, ელექტროენერგიის, სატვირთო ავტომობილების, ცვლადი დენის ელექტროძრავების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, დაბალი ძაბვის აპარატურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, კვების, ხორცისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, ქაღალდისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა. მიღწეულია სახალხო მოხმარების მეტი წილი საქონლის, კერძოდ, ბამბისა და შალის ქსოვილების, შეკერილი ნაწარმის, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, საკვები თევზის პროდუქციის, საკონდიტრო ნაწარმის, ჩაის, ტელევიზორების, ავეჯის წარმოების დაგეგმილი მოცულობა.

ვერ შესრულდა ნავთობის და თანამდევი გაზის მოპოვების, ნავთობის, საავტომობილო ბენზინის, ფოლადის მილების (ათასობით მეტრი), სინთეზური ამიაკის, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, ავტომობილების სათადარიგო ნაწილების, მაგისტრალური ელმავლების, ლითონსაჭრელი ჩარხების (ათასობით მანეთის), მაგნიტური სადგურების, ცემენტის, შიფერის, მუყაოს, უქსოვი ფართლეულის, აბრეშუმის ქსოვილების, კონსერვების, მინერალური წყლების, ფხვნილი შაქრის, ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭლის წარმოების დავალებანი.

გაუმჯობესდა დადებული ხელშეკრულებებისა და განწესების შესაბამისად პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულების მაჩვენებლები. მაგრამ სახელშეკრულებო ვალდებულებანი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ სრულდება. მნიშვნელოვანი ჩამორჩენა დაუშვეს შავი მეტალურგიის, მინერალური სასუქების წარმოების, ნავთობის, ქიმიური მრეწველობის სამინისტროების გაერთიანებებმა და საწარმოებმა.

ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა მთლიანად ვერ გამოიყენეს საწარმოო სიმძლავრენი, თავი ვერ გაართვეს შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულების, დაგროვების დავალებებს, უშვებდნენ მდარე ხარისხის პროდუქციას.

III. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის, მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სასურსათო პროგრამის შესასრულებლად.

შარშან შესამჩნევი წარმატებანი მოიპოვეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ წყალტუბოს ზონის, აბაშის, ადიგენის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ვანის, გორის, დმანისის, ზესტაფონის, ყაზბეგის, კასპის, ყვარლის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მესტიის, საგარეჯოს, სამტრედიის, თერჯოლის, თიანეთის, ცაგერის, წალკის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის, ჩოხატაურის და ჩხოროწყუს რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 577 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 72 ათასი ტონით მეტია გეგმასთან შედარებით. შესრულდა მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმა.

აღებულია 97 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო), 390 ათასი ტონა კარტოფილი, 614 ათასი ტონა ბოსტნეული, 700 ათასი ტონა ხილი, 915 ათასი ტონა ყურძენი და 350 ათასი ტონა ციტრუსი.

უფრო შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდა 1985 წლის მოსავლის სამუშაოები. სამარცვლე საშემოდგომო კულტურები დაითესა 129 ათას ჰექტარ ფართობზე, მზრალად მოხნულია 179,4 ათასი ჰექტარი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არიან საგაზაფხულო სამარცვლე კულტურების თესლით, მისი მეტი ნაწილი სათესი კონდიციისაა. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მასობრივი რემონტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის XX პლენუმის გადაწყვეტილებებით წარმოებს მუშაობა, რათა გაიზარდოს მელიორირებული მიწების ფართობები და ამაღლდეს მათი ეფექტიანობა. გადიდდა ფართობები, რომლებმაც ტენსაგროვებელი რწყვა მიიღეს, სარწყავ და დაშრობილ მინდვრებში გატანილია მეტი ორგანული სასუქები.

დადებითი შედეგებია მიღწეული **მეცხოველეობაში.**

გაიზარდა ყველა სახეობის პროდუქციის **წარმოება** (ყველა კატეგორიის მეურნეობა).

	1983 წ.	1984 წ.
ხორცი (ნაკლავის წონა), ათასი ტონა	149,9	152,4
რძე, ათასი ტონა	647,6	652,5
კვერცხი, მილიონი ცალი	752,1	792,0
მატყლი (ფიზიკური წონა), ტონა	5781	5804

გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, რძის საშუალო ნაწველი გადიდდა 1,7 პროცენტით, ერთ მოქცეულზე საშუალო მეკვერცხულობა — 2,5 პროცენტით, ერთ ცხვარზე მატყლის საშუალო ნაპარსი — 5 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში:

	1983 წ.	1984 წ.
პირუტყვი და ფრინველი, ათასი ტონა:		
ცოცხალი წონა	157,2	164,7
ნაკლავის წონა	97	105
რძე, ათასი ტონა	292,4	296,8
კვერცხი, მილიონი ცალი	560,5	544,0
მატყლი (წმინდა ბოჭკოზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	3,6	3,8

პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვა (ცოცხალი წონა) 1983 წელთან შედარებით 4,8 პროცენტით გაიზარდა, რძისა — 1,5 პროცენტით, კვერცხისა (საზოგადოებრივ მეურნეობებში) — 4,6 პროცენტით. მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (ათასი სული):

	1 იანვრისათვის 1984 წ.	1985 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1633,8	1641,5
მათ შორის ძროხა	653,5	651,5
ღორი	1082,1	1113,7
ცხვარი და თხა	1984,8	1949,6

უზრუნველყოფილია ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოგებამ 1984 წელს მთელი საქმიანობის მიხედვით შეადგინა 270 მილიონ მანეთზე მეტი.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის მემცენარეობისა და მეცხოველეობის ცალკეული პროდუქტების მიყიდვის გეგმა. საკმარისად არ არის გამოყენებული წარმოების ზრდის რეზერვები, არის ტექნიკის მოცდენები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები, არამწარმოებლური ხარჯები.

მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შესრულდა სოფლის მეურნეობისათვის მეტწილ სახეობათა ტექნიკის **მიწოდების** გეგმა.

მეურნეობებმა მიიღეს 218 ათასი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრის 3014 ტრაქტორი, 180 მარცვლეულის ასაღები, 312 სილოსის ასაღები და 30 სიმინდის ასაღები კომბაინი, 3028 ტრაქტორის გუთანი, 1296 კულტივატორი, 902 სათესელა, 530 სათიბელა, 115 დასაწვიმი მანქანა და დანადგარი, 832 მინერალური სასუქების მომბნევი, 367 წნეხამკრები, 105 მარცვალსაწმენდი მანქანა და დიდძალი სხვა ტექნიკა, 188 ათასი ტონა მინერალური სასუქი და 600 ტონა ქიმიური საკვები დანამატი(ას პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით).

კაპიტალურმა დაბანდებებმა აგროსამრეწველო კომპლექსში, მათ შორის დარგებში, რომლებიც სოფლის მეურნეობას უზრუნველყოფენ წარმოების საშუალებებით, 906 მილიონი მანეთი შეადგინა, აქედან 667 მილიონი მანეთი — სოფლის მეურნეობაში. ხორციელდება სამელიორაციო მშენებლობის ვრცელი პროგრამა. ამ მიზნით გამოყოფილმა კაპიტალურმა დაბანდებებმა 158 მილიონი მანეთი შეადგინა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების, სასურსათო პროგრამის ამოცანების შესაბამისად იხვეწება მართვა და სამეურნეო მექანიზმი აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში, ინერგება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიური (ბრიგადული) ფორმები, მტკიცდება კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტვირთზიდვასა და ცალკეული სახეობის ტრანსპორტის საქონელბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ტვირთზიდვა, ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთბრუნვა და მგზავრთბრუნვა	შესრულდა 1984 წ.	1984 წ. პროცენტობით 1983 წ. შედარებით
ტვირთზიდვა, მილიონი ტონა რკინიგზის ტრანსპორტი	38,6	101,4
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	172,9	102,5
ტვირთბრუნვა, მილიარდი ტონა-კილომეტრი რკინიგზის ტრანსპორტი	13,3	98,5
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	2,9	103,6

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა 64,6 მილიარდი ტონა-კილომეტრი და 1983 წელთან შედარებით 0,9 პროცენტით გადიდდა; მგზავრთბრუნვამ მიაღწია 15,9 მილიარდ მგზავრ-კილომეტრს და 4,6 პროცენტით გაიზარდა. საგეგმო დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა.

რკინიგზის ტრანსპორტმა შესრულა მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ტვირთის გაგზავნის, თვითბრუნვის საერთო მოცულობის წლიური გეგმა. შემცირდა ვაგონის ბრუნვის საშუალო დრო, ტექნიკურ სადგურში სატრანზიტო ვაგონის მოცდენები. გაიზარდა ლოკომოტივების საშუალო-სადღეღამისო მწარმოებლობა და ვაგონის სტატიკური დატვირთვა. ამავე დროს მთლიანად არ შესრულებულა მგზავრთბრუნვის გეგმა. არის არამწარმოებლური მოცდენების დასატვირთ-გადმოსატვირთი ოპერაციების დროს.

საზღვაო ტრანსპორტმა შესრულა შიდანაოსნობაში ტვირთზიდვის, ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების გეგმები. 1983 წელთან შედარებით შიდა ნაოსნობაში გადაზიდვა შემცირდა 3,7 პროცენტით, ხოლო საზღვარგარეთ ნაოსნობაში — 1,2 პროცენტით. დასატვირთ-გადმოსატვირთ სამუშაოთა გეგმა 104,1 პროცენტით შესრულდა.

საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტმა** შესრულა ტვირთზიდვის, მგზავრთა გადაყვანის, ტვირთბრუნვის, მგზავრთბრუნვისა და მსუბუქი ტაქსმოტორების ფასიანი გარბენის გეგმა. წინა წელთან შედარებით ტვირთზიდვა 2,5 პროცენტით გაიზარდა, მგზავრთა გადაყვანა — 5,1 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 3,2 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — 5,7 პროცენტით, მსუბუქი ტაქსმოტორების ფასიანი გარბენი — 1,2 პროცენტით.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტსადენმა ტრანსპორტმა გადაზიდა 1,8 მილიონი ტონა ტვირთი და შესრულა 631 მილიონი ტონა-კილომეტრი.

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს „საქტრანსგაზის" **გაზსადენებმა** შესრულეს სასაქონლო გაზის მიწოდების გეგმა, რომლის მოცულობა წლის მანძილზე გაიზარდა 450 მილიონი კუბური მეტრით და მეტად.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შესრულა მგზავრთა გადაყვანის, მგზავრთბრუნვის, ავიატვირთზიდვის საერთო მოცულობისა და სახალხო მეურნეობის დარგების მომსახურების სამუშაოთა გეგმა. გადაყვანილია 2,4 მილიონი კაცი. მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 1,3 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — 10,3 პროცენტით. საავიაციო-ქიმიური სამუშაოები განხორციელდა 474,2 ათას ჰექტარზე.

მაგრამ ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტი მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტვირთის გადაზიდვაზე. რკინიგზის ტრანსპორტზე არ შესრულებულა მინერალური სასუქებისა და ზოგიერთი სხვა ტვირთის გადაზიდვის გეგმა.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა შესრულეს პროდუქციის მოცულობის გეგმა და მიღწეულია მისი 5 პროცენტით მატება; შესრულდა კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების ძირითადი დავალებანი.

V. კაპიტალური მშენებლობა

ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, სკოლამდელი დაწესებულება და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტი.

ამოქმედდა:

ელექტროენერგეტიკაში ენგურჰეს-სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 182 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საათში 220 ტონა ორთქლის სიმძლავრის ორთქლის ქვაბი, 594 კილომეტრი სიგრძის 35 კილოვატი და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, 3 ათას კილომეტრზე მეტი — სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისათვის, 848 ათასი კილოვოლტ-ამპერის სიმძლავრის სატრანსფორმატორო მამაღლებელი ქვესადგურები და სხვა;

ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში — ნავთობის დასაზვერი და საექსპლოატაციო ბურღვის 8 ჭაბურღილი;

შავ მეტალურგიაში — 200 ათასი ტონა მანგანუმის მადნის მომპოვებელი სიმძლავრე;

ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში — 24 ათასი ტონა ამონიუმის სულფატის პირობითი ერთეულის, 26 ათასი ტონა კაპროლაქტამის, 9 ათასი ტონა კაპრონის ძაფის საწარმოო სიმძლავრეები;

მანქანათმშენებლობაში — ხუთი მაგისტრალური ელმავლის, 3 ათასი ცალი ავტომობილის ძრავის და 4 ათასი ცალი ავტომობილის მისაბმელის საწარმოო სიმძლავრეები, 1,8 მილიონი მანეთის პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეები თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში;

სამშენ მასალათა მრეწველობაში — 38 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოო სიმძლავრენი;

მსუბუქ მრეწველობაში — 1 მილიონი კვადრატული მეტრი უქსოვადი მასალების 2,3 მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმის გამოსაშვები სიმძლავრენი;

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მინერალური სასუქების საწარმოო სიმძლავრენი. ახმეტის, ჩოხატაურის, კარდანახის, აკურისა და წითელი ხევის ღვინის ქარხნებში ამოქმედდა სეზონში 36 ათასი ტონა ყურძნის გადამამუშავებელი სიმძლავრეები, ზესტაფონის № 2 ღვინის ქარხანაში — 1,0 მილიონი დეკალიტრი ღვინის საწარმოო სიმძლავრენი და სხვა;

სოფლის მეურნეობაში აშენდა თითქმის 20 ათასი სული პირუტყვის შესანახად გათვალისწინებული მეცხოველეობის სადგომები, მექანიზებული ფერმები და კომპლექსები, 2,8 და 5,0 ათასი დედაბოცვრის შესანახად გათვალისწინებული ბებნისისა და მარტყოფის მებოცვრეობის კომპლექსები, 200 ათასი მოქცეულისათვის გათვალისწინებული მეფრინველეობის ფაბრიკები, მეცხოველეობის საკვების საამქროები, მარცვლეულ-თესლის საცავები, ბოსტნეულისა და კარტოფილის, ხილის საცავები და სხვა ობიექტები, საექსპლოატაციოდ გადაეცა 15,5 ათასი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწები, გაწყლოვანებულია 4,5 ათასი ჰექტარი საძოვრები. კულტურტექნიკური სამუშაოები შესრულდა 22,5 ათასი ჰექტარ ისეთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, რომლებსაც დაშრობა არ სჭირდებათ.

კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 2570 მილიონი მანეთი შეადგინა. მოქმედი საწარმოების ტექნიკურ განახლებას და რეკონსტრუქციას მოხმარდა 478 მილიონი მანეთი, რაც 17 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშან.

რამდენადმე შემცირდა დაუმთავრებელი მშენებლობის ოდენობა კაპიტალურ დაბანდებათა წლიურ მოცულობასთან შედარებით.

სასაქონლო სამშენებლო პროდუქციამ მილიარდ 104 მილიონი მანეთი შეადგინა. საიჯარო სამუშაოების მოცულობა 5 პროცენტით გაიზარდა.

ამავე დროს ძირითადი ფონდებისა და მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა ვერ შესრულდა. უზრუნველყოფილი არ არის ასამოქმედებელ მშენებლობებზე და ობიექტებზე კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალური რესურსების საჭირო კონცენტრაცია, ამ ობიექტების ამოქმედების რიტმულობა და ჯეროვანი ხარისხი. ბევრმა ორგანიზაციამ ვერ შესრულა სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის გეგმა.

VI. ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლება

1984 წელს კვლავ ხორციელდებოდა სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, ხოლო საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის გაწეული ხარჯების გათვალისწინებით უშუალოდ ხალხის კეთილდღეობას მოხმარდა ეროვნული შემოსავლის ოთხი მეხუთედი.

დაჩქარდა მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა. კიდევ უფრო განვითარდა სახალხო განათლება და კულტურა. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად იხვეწება რესპუბლიკის სასწავლებლებში ახალგაზრდობის სწავლების სისტემა.

1 სექტემბრიდან გაიზარდა ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, ბავშვის სახლების მასწავლებლების, ხელმძღვანელების და სხვა პედაგოგიური მუშაკების, იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატებისა და ხელმძღვანელი მუშაკების ხელფასი, რომლებიც ამზადებენ კვალიფიციურ მუშებს სოფლის მეურნეობისა და ქვანახშირის მრეწველობისათვის.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხორციელდებოდა შრომის დაცვისა და მისი პირობების გაუმჯობესების, მექანიზაციის დონის ამაღლების ღონისძიებანი.

სახალხო მეურნეობაში **მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა** შეადგინა 161 მანეთი, კოლმეურნეების საშუალო-თვიურმა შრომის ანაზღაურებამ — 132 მანეთი.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 2,2 მილიარდი მანეთი **განაცემები და შეღავათები**, რაც 87 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1983 წელს. ამ განაცემებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი თვეში 220 მანეთიდან 227 მანეთამდე გაიზარდა.

გაუმჯობესდა სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში და ამგვარი ტიპის სხვა დაწესებულებებში აღსაზრდელთა შენახვის პირობები. სკოლა-ინტერნატებში ბავშვების შენახვის საფასურისაგან განთავისუფლებული არიან მარტოხელა დედები და ოჯახები, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე თვეში 60 მანეთს არ აღემატება.

შემოღებულია სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვების უფრო მაღალი ნორმები, იქ ბავშვების შენახვის ახალი საფასური, რომელიც გამომდინარეობს ოჯახის წევრზე საშუალო ერთობლივი შემოსავლიდან. სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების შენახვის საფასურს არ ახდევინებენ მშობლებს, რომელთა ოჯახში საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე თვეში 60 მანეთს არ აღემატება. იმ მშობლებს, რომლებსაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ, ამ დაწესებულებებში ბავშვების შენახვის საფასურის 50 პროცენტით ნაკლებს ახდევინებენ. დედებს, რომლებიც ზრდიან სამ წლამდე ასაკის ბავშვებს და სკოლამდელი დაწესებულებებისა და ბავშვის სახლების ბაგის ჯგუფების აღმზრდელებს დაუწესდათ 6-საათიანი სამუშაო დღე და 36 სამუშაო დღიანი ყოველწლიური შვებულება.

იფარებოდა სახელმწიფო შინაგანი სესხების ობლიგაციები.

მშრომელებმა 317 მილიონი მანეთით გაზარდეს თავიანთი **ანაბრები შემნახველ სალაროებში.**

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** 5257 მილიონი მანეთი შეადგინა და შესადარი ფასებით 1983 წელთან შედარებით 354 მილიონი მანეთით გაიზარდა. რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში გაუმჯობესდა მეცხოველეობის პროდუქტებით და სახალხო მოხმარების მთელ რიგ სხვა დიდმნიშვნელოვან სახეობათა საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფა. მაგრამ საცალო საქონელბრუნვის საერთო გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა, ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდებოდა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა ზოგიერთი სახეობის სასურსათო და სამრეწველო საქონელზე.

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვის ზრდას სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1984 წელი პროცენტობით 1983 წელთან შედარებით.
პურპროდუქტები	100
ხორცი და ხორცპროდუქტები	106
თევზი და თევზპროდუქტები	99
ერბო-კარაქი	113
მცენარეული ზეთი	107
მარგარინის პროდუქცია	97
მოუხდელი რძის პროდუქცია	103
ყველი	108
კვერცხი	100
შაქარი	131
საკონდიტრო ნაწარმი	105
ჩაი	100
კარტოფილი	98
ბოსტნეული	124
ხილი და ციტრუსი	107
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	106
ტრიკოტაჟის ნაწარმი	103
წინდები	116
ტყავის ფეხსაცმელი	113
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	102
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	104
ავეჯი	111
მაცივრები და საყინავები	109
მათ შორის მაცივრები 200 კუბური მეტრი დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერით	100
სარეცხი მანქანები	104
ელექტრომტვერსასრუტები	115
საათები	102
ფოტოაპარატები	100
რადიომიმღები მოწყობილობანი	99
ტელევიზორები	109
მათ შორის ფერადგამოსახულებიანი	137
მაგნიტოფონები	108
ველოსიპედები და მოპედები	94
მოტოციკლები და მოტოროლერები	111
მსუბუქი ავტომობილები	107

მოსახლეობისათვის გაწეული **საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა** 1983 წელთან შედარებით გაიზარდა 10,4 პროცენტით, მათ შორის სოფლად — 18,1 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმა.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე **აშენდა 1795 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 37,5 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა. საბინაო პირობები გაუმჯობესა 150 ათასმა კაცმა.**

საექსპლოატაციოდ გადაცემულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 22 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელთა დაწესებულებანი — 11 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები — ათასი ავადმყოფისათვის, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი — ცვლაში 275 მიღებისათვის და მრავალი სხვა ობიექტი.

სოფლად აშენდა 440 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები — 11.6 ათასი მოსწავლისათვის.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის (მათ შორის სატყეო მეურნეობის გაძღოლის ხარჯებმა) ხარჯების საერთო თანხამ შეადგინა დაახლოებით 100 მილიონი მანეთი. კვლავ ხორციელდებოდა წყლის წყაროების დაცვის, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების, წყლისა და ქარისმიერ ეროზიისაგან მიწის რესურსების, ხანძრებისაგან ტყეების დაცვის, ნაკრძალების შექმნის ღონისძიებანი. ამასთან ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

განხორციელდა ტყის აღდგენითი სამუშაოები სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში 29,5 ათას ჰექტარ ფართობზე, 375,4 ათას ჰექტარზე — ტყეთა მოწყობა.

სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 1,6 მილიონი კაცი, მათგან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 923 ათასი, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 70,2 ათასი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 53,8 ათასი, უმაღლეს სასწავლებლებში — 89 ათასი კაცი.

1984 წელს საშუალო განათლება მიიღო 86,2 ათასმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა, ამასთან 14,4 ათასმა კაცმა — წარმოება მოუწყვეტლივ.

გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში იმყოფება 134 ათასი მოსწავლე, რაც 4,6 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშან.

მუდმივ სკოლამდელ დაწესებულებებში დადის 189 ათასი ბავშვი. სეზონური სკოლამდელი დაწესებულებები მოემსახურა 6 ათასზე მეტ ბავშვს.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულია 16,7 ათასი კაცი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 18,4 ათასი კაცი, ამასთან 9,9 ათასი კაცი ანუ 28,3 პროცენტი მიღებულია უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

1984 წელს მომზადდა 32 ათასი სპეციალისტი, მათ შორის 15,5 ათასი უმაღლესი განათლებით და 16,5 ათასი საშუალო სპეციალური განათლებით.

პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა წლის განმავლობაში მოამზადეს 40,8 ათასი კვალიფიციური მუშა და მიიღეს 46,9 ათასი კაცი, რომელთაგან 16 ათასზე მეტი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პროფესიასთან ერთად მიიღებს ზოგად საშუალო განათლებას.

უშუალოდ წარმოებაში ახალ პროფესიებს დაეუფლა დაახლოებით 90 ათასი კაცი. კვალიფიკაცია აიმაღლა დაახლოებით 370 ათასმა კაცმა.

გასული წლის დამლევს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ჰქონდა დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით ცხრა მეათედს.

მკითხველებს ემსახურებოდა 4,2 ათასზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების ფონდი შეადგენს 40,6 მილიონ ეგზემპლარს.

1984 წელს გამოიცა 22,8 მილიონი ეგზემპლარი წიგნი და ბროშურა.

მუშაობდა 2,1 ათასი კინოდანადგარი, კინოსეანსებზე დასწრების რიცხვმა წლის მანძილზე შეადგინა 50,7 მილიონი.

გაუმჯობესდა **მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და ორგანიზებული დასვენება.** ყველა სპეციალობის ექიმების რიცხვი გაიზარდა 1,2 ათასით და მიაღწია 27,6 ათასს.

გაიზარდა ადგილების რიცხვი სანატორიუმებში, პანსიონატებში, დასასვენებელ სახლებსა და ბაზებში, ტურისტულ ბაზებში. ამ დაწესებულებებში იმკურნალა და დაისვენა დაახლოებით ორმა მილიონმა მშრომელმა და მათი ოჯახის წევრმა, მათგან ერთ მილიონზე მეტმა ტურისტულ მარშრუტებსა და ბაზებში. ექსკურსიების მონაწილეთა რიცხვმა შეადგინა 14 მილიონი კაცი.

დაახლოებით 139 ათასმა ბავშვმა და მოზარდმა გაატარა ზაფხული პიონერთა და სასკოლო ბანაკებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში ან ამ პერიოდში — სააგარაკო ადგილებში საბავშვო დაწესებულებებთან ერთად.

ხორციელდებოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მოსახლეობამ 1985 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 5203,4 ათასი კაცი.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

შრომით ვადიდოთ სამშობლო

ამომრჩეველთა შეხვედრა ვ. ი. დოლგიხთან

პარტიის მოწოდებას ხუთწლედის ღირსეულად დამთავრების თაობაზე ფართოდ გამოეხმაურნენ საბჭოთა ადამიანები. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ლიპეცკის მშრომელებს. ეს აღინიშნა 6 თებერვალს ნოვოლიპეცკის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრაზე რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ვლადიმერ ივანეს ძე დოლგიხთან.

შეხვედრის მონაწილეებმა აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა ნოვოლიპეცკის ი. ვ. ანდროპოვის სახელობის მეტალურგიული კომბინატის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ვ. ფრანცენიუკმა დამსწრეთ გააცნო ვ. ი. დოლგიხის ცხოვრების გზა, მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

კრებაზე გამოვიდნენ საწარმოო გაერთიანება ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის" მხეხავი ვ. ქ. შეეცოვა, №62 საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ს. მალინინა, „ლიპეცკმშენტრანსის" ტრესტის № 1 ავტობაზის მძღოლი ვ. მ. სოლოვიოვი და სხვები. მათ თქვეს, რომ მხურვალედ იწონებენ პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ ტრაქტორმშენებლები და მეტალურგები, ქიმიკოსები და ენერგეტიკოსები ცდილობენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყოველი დღე გადააქციონ დამკვრელური შრომის დღედ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. დოლგიხმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. საარჩევნო კამპანია, აღნიშნა მან, მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის დიდი პოლიტიკური აქტიურობისა და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც იბრძვის ლენინური პარტიის XXVII ყრილობის, დიადი გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ეს წელი მიმდინარეობს ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ყველა რეზერვის მობილიზაციის, ეკონომიკის განვითარებაში პოზიტიური ტენდენციების შემდგომი განმტკიცების ნიშნით.

ორატორი შეეხო ზოგიერთ ეკონომიკურ პრობლემას, რომლებსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მალე საბჭოთა ხალხი აღნიშნავს დიდ სამამულო ომში გამარჯვების — მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის 40 წლისთავს, თქვა დასასრულ ვ. ი. დოლგიხმა. ორმოცი მშვიდობიანი წელი, რომელთა მანძილზე ცხოვრობენ და შრომობენ საბჭოთა ადამიანები, — ეს არის ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის მთავარი შედეგი. მშვიდობის განმტკიცებისათვის დაუცხრომელი ზრუნვით არის გამსჭვალული ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში წამოყენებული კონსტრუქციული წინადადებები. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც განახორციელებენ აქტიურ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, განამტკიცებენ ქვეყნის ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას. (საკდესი).

აღმშენებლობისა და მშვიდობისათვის

ამომრჩეველთა შეხვედრა ვ. მ. ჩებრიკოვთან

6 თებერვალს ვლადივოსტოკში ამომრჩევლები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვს, რომელიც კენჭს იყრის რსფსრ უმაღლეს საბჭოში ლენინის საარჩევნო ოლქში.

დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

მოუწოდა რა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, გემთსარემონტო საწარმო „შორაღმოსავლეთქარხნის" მილგამყვანთა ბრიგადირმა ვ. ნ. ბელოტელოვმა— დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა —ისაუბრა ვ. მ. ჩებრიკოვის ცხოვრების გზაზე.

კრებაზე გამოვიდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილე, დიდების ორდენის სრული კავალერი დ. ნ. ბონდარენკო, № 10 სამშენებლო სამმართველოს მღებავთა ბრიგადირი გ. ა. გრიდინა, მესაზღვრე, უფროსი სერჟანტი ვიქტორ რიაბოშაპკო და სხვები. მათ აღნიშნეს, რომ საყოველთაო-სახალხო მოწონებას იმსახურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მხარის მშრომელები დაუცხრომლად ისწრაფვიან განამტკიცონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

შეკრებილები გულთბილად შეხვდნენ ვ. მ. ჩებრიკოვს, რომელმაც წარმოთქვა სიტყვა. მან მადლობა გადაუხადა ლენინის ოლქის ამომრჩევლებს ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ამ ნდობას იგი მიაკუთვნებს სახელოვან ლენინურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს, ყველა ჩვენი ისტორიული მიღწევის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

არჩევნების დროს ჩვენ ვაჯამებთ გაწეული მუშაობის შედეგებს, ვსახავთ სამომავლო ამოცანებს, თქვა შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა. წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს საბჭოთა ადამიანების მიზანსწრაფული, თანმიმდევრული საქმიანობა, რომლის მიზანია პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულება. მიღწეულია ახალი წარმატებები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. განვითარებული სოციალიზმის პირობებში მიმდინარეობს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის პროცესი, სულ უფრო აქტიური ხდება მშრომელთა მონაწილეობა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმის გადაწყვეტაში.

შეეხო რა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობას, ვ. მ. ჩებრიკოვმა თქვა, რომ საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში ჩეკისტები განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებენ საკუთარ თავს, ყოველმხრივ იმაღლებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, გადაჭრით აღკვეთენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ყოველგვარ მტრულ ხრიკებს. სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების მთელი საქმიანობა ექვემდებარება იმ ამოცანების შესრულებას, რომლებსაც პარტია უსახავს. პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპი იყო, არის და ყოველთვის იქნება მათი საქმიანობის უცილობელი კანონი.

პარტიის პოლიტიკას, თქვა დასასრულ ვ. მ. ჩებრიკოვმა, მთელი ხალხი უჭერს მხარს. მის მოწოდებებს მხურვალედ ეხმაურებიან მასები. ეს იმიტომ ხდება, რომ პარტია, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით და შემოქმედებითად ავითარებს მას, სწორად ასახავს მშრომელთა ინტერესებს. (საკდესი).

მარიამ ბურჭულაძე



საქართველოს სახალხო განათლების ღვაწლმოსილ მუშაკთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგი, 1938 წლიდან პარტიის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მარიამ ივლიანეს ასული ბურჭულაძე.

მ. ი. ბურჭულაძე დაიბადა 1900 წლის 15 ნოემბერს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი მასწავლებლად მუშაობს ჩოხატაურისა და დუშეთის სკოლებში, შემდეგ — თბილისის 36-ე საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. პედაგოგის რთულ საქმიანობას იგი უთავსებდა სწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც მან წარჩინებით დაამთავრა.

მთელი რიგი წლების მანძილზე მ. ბურჭულაძე მუშაობდა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის, შემდეგ კი განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ, (1938-1961 წწ.).

1961 წელს მარიამ ბურჭულაძე მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სექტორის გამგედ. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი. მარიამ ბურჭულაძე გულმოდგინედ მუშაობდა პედაგოგიკის პრობლემებზე, სწავლების ხერხებისა და მეთოდების დახვეწაზე.

მარიამ ბურჭულაძე ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას, იგი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წლების მანძილზე იყო საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

მარიამ ბურჭულაძის ღვაწლს მაღალი შეფასება მისცეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით, იყო ივანე ჯავახიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ნ. კრუპსკაიას სახელობის მედლების კავალერი.

ქართული პედაგოგიური სკოლის შესანიშნავი წარმომადგენლის, პარტიისა და შრომის ვეტერანის, გულისხმიერი მეგობრის მარიამ ბურჭულაძის მიერ არაერთი ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებისათვის გაწეულ დიდ ღვაწლს ჩვენი მადლიერი საზოგადოებრიობა არასოდეს არ დაივიწყებს.

ე. შევარდნაძე, გ. გაბუნია, გ. ენუქიძე, ო. ჩერქეზია, ა. საყვარელიძე, ო. ქინქლაძე, თ. ლაშქარაშვილი, შ. ამონაშვილი, ლ. გაგუა, გ. კოგახიძე, ი. ლალიძე, დ. ლორთქიფანიძე, ნ. ჟვანია, ნ. სამნიაშვილი, გ. ჯაფარიძე.

შეხვედრა კრემლში

6 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა მიიღო მოსკოვში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მანქანათმშენებლობის დარგში თანამშრომლობის კომიტეტის პირველი სხდომის მოწყობასთან დაკავშირებით მყოფი ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მინისტრი ო. დოინოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთო, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ავტომობილმშენებლობის მინისტრი გ. კლაიბერი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის მინისტრი ნგუენ ვან ქხა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი, ენერგეტიკისა და მრეწველობის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე რ. პავლოვიჩი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. მირეტი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჩ. სურენი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. შალაიდა, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-აღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ნ. კონსტანტინი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. მაროტი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლ. გერლე.

საუბარმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკება

5 თებერვალს კრემლში მოლაპარაკება გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. მალმიერკამ, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ორივე ქვეყნისათვის საინტერესო მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობა ყველა დარგში.

ნაშუადღევს მოლაპარაკება გაგრძელდა.

ი. მალმიერკა კუბის ხელმძღვანელობის სახელით მიესალმა სსრ კავშირის ინიციატივით მიღწეულ მორიგებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების საკითხთა მომავალი ჟენევის მოლაპარაკების შესახებ.

მხარეებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმ სახიფათო მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა ცენტრალურ ამერიკაში, უწინარეს ყოვლისა, ნიკარაგუის ირგვლივ და გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი ინტერვენციონისტული პოლიტიკა ამ სუვერენული სახელმწიფოს მიმართ.

ამავე დღეს ა. ა. გრომიკომ ი. მალმიერკას პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელზეც მხარეებმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საუზმეზე, რომელმაც მეგობრულ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ი. ვოროტნიკოვი, სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე ი. მალმიერკას თანმხლები პირნი. (საკდესი).

ვიცოდეთ მასების განწყობილება, მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებანი

(დასასრული)

ძლევანელები, რომლებიც უპასუხებდნენ მათ გამგებლობაში მყოფი სამსახურების წინაშე დაყენებულ კითხვებს. კერძოდ, კითხვებს უპასუხეს ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ქ. წურწუმიამ, ქალაქის პროკურორმა დ. კუხალეიშვილმა, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსმა გ. ხუხიამ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების უფროსმა შ. დარჯანიამ, პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა დ. შამათავამ.

მაგრამ ყველაზე მეტი კითხვა მისცეს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს. ისინი ეხებოდა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, მის საერთაშორისო მდგომარეობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საზღვარგარეთის სხვადასხვა სახელმწიფოსთან სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს. ბევრი კითხვა დაკავშირებული იყო რესპუბლიკის, მისი ცალკეული რეგიონების, მათ შორის ქალაქ ზუგდიდის ცხოვრებასთან.

მაგალითად, მექანიკური საამქროს ხარატს ჯ. კიტიას აინტერესებდა, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება რესპუბლიკაში საავტომობილო ტრასებზე სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებისა და უდისციპლინო მძღოლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის ავტოინსპექციის მუშაკთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

მექანიკური საამქროს მღარავმა ი. ქაჯაიამ სთხოვა გაეცნოთ მისთვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტების პირველი შედეგები.

ომისა და შრომის ვეტერანმა ვ. შენგელიამ გამოგზავნა წერილი — კითხვა, წერილი დაპირება, რომელშიც წერს: „გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით, პარტიის საქალაქო კომიტეტის აქტიური მხარდაჭერით ზუგდიდში მნიშვნელოვანი დადებითი გარდაქმნები ხდება. ეს თვალნათლივ ჩანს ჩვენი ქარხნის მაგალითით. ჩამოყალიბდა სრულიად ახალი კოლექტივი, მუშათა კლასის ახალი რაზმი, რომელსაც შემდგომი მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება. როგორც ომის ვეტერანს, მოვალეობად მიმაჩნია თქვენს წინაშე დავაყენო საკითხი, რომ დახმარება გაგვიწიონ ქალაქში დიდი სამამულო ომის გმირთა მემორიალის აგებაში.

უაღრესად გვაღელვებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ შევინარჩუნებთ მშვიდობას. იმედით შევყურებთ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის მებრძოლ შტაბს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით. აღგითქვამთ, რომ ჩვენი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ღირსეულად გაართვას თავი მის წინაშე დასახულ ამოცანებს, თავის წვლილს შეიტანს სამშობლოს აყვავებაში და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებაში".

ქარხნის მუშამ ჯ. შედანიამ სთხოვა გადაწყვიტონ რესპუბლიკაში გამოცემული ლიტერატურის ტირაჟების გადიდების საკითხი.

სხვადასხვა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს თავიანთ ღია წერილებში ამწყობმა ზეინკლებმა გ. ქარჩავამ და რ. დარსანიამ, საამწყობო საამქროს ტექნიკურმა დისპეტჩერმა ე. ხვიტიამ, ელექტრიკოსმა ტ. სხილაძემ, ხარატ ქალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ნ. ჭკადუამ, მექანიკური საამქროს ხარატმა მ. ჯინჭველეიშვილმა, ამწყობმა ოპერატორმა თ. კოდუამ, ამწყობმა ზეინკალმა ი. თირქიამ, მომნიშვნელმა ზეინკალმა ვ. ჯაბუამ და სხვებმა.

ღია წერილის დღეს წაიკითხეს აგრეთვე მექანიკური საამქროს მერემონტე ზეინკალის, პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრის ვ. სემიონოვის წერილი:

„ჩვენ ყველანი, ქალაქის მთელი მუშათა კლასი, დიდი კმაყოფილებით ვადევნებთ თვალყურს იმას, თუ როგორ ლამაზდება ჩვენი ქალაქი დღითი-დღე, და არა მარტო თვალყურს ვადევნებთ, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც ვიღებთ მისი, როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთი ცენტრის ჩამოყალიბებაში.

როცა ამ ქარხანაში მოვედი, დამხვდა თავის ძალ-ღონესა და შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდა კოლექტივი. სასიამოვნოა აღინიშნოს ის თავდადება, ენთუზიაზმი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება დავალებული საქმისადმი, რომელსაც იჩენს ჩვენი კოლექტივის უკლებლივ ყველა წევრი.

ვიცით, თუ რა დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად თქვენ, პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის. ყველა ჩვენგანს ესმის, რომ ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია. მით უფრო დიდ აღშფოთებას იწვევს ყველა ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენა, მათ შორის ჩვენს ქალაქშიც. გთხოვთ, არ შეასუსტოთ დაძაბული ბრძოლა, არ შეცვალოთ კურსი, რომელსაც ათ წელზე მეტი ხნის წინათ დაადექით, ცხოვრების ყველა სფეროში ნამდვილად სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის, მთელს რესპუბლიკაში, თითოეულ შრომით კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

ჩვენ ყველანი მადლობელი ვართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა იმ უდიდესი მხარდაჭერისა და ყურადღებისათვის, რომლებსაც იგი იჩენს ჩვენი ქარხნის ჩამოყალიბებისა და განვითარებისადმი.

ვეგებებით რა არჩევნებს, მთელი ჩვენი კოლექტივი კისრულობს ახალ გადიდებულ ვალდებულებებს პარტიისა და სახელმწიფოს ყველა დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის".

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ამომწურავი პასუხი გასცა ღია წერილის დღეს დასმულ ყველა კითხვას. მთელი რიგი პრობლემები ოპერატიულად გადაიჭრა ადგილზევე, ზოგიერთ მათგანზე კი მიეცათ დაპირებანი, რომ გულდასმით შეისწავლიან მათ და დამატებით აცნობებენ მიღებულ ღონისძიებებს.

დასასრულ შრომითი კოლექტივის წარმომადგენლებმა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს უღრმესი მადლობა გადაუხადეს საინტერესო ინფორმაციისათვის, შესაძლებლობისათვის უშუალო ვითარებაში გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი ამა თუ იმ პრობლემაზე, მიეღოთ პასუხი ყველა საინტერესო საკითხზე.

ღია წერილის დღემ, რომელიც ზუგდიდის მანქანათმშენებელ ქარხანაში გაიმართა, გამოავლინა ახალგაზრდა კოლექტივის მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, თავიანთი მიზნებისა და ამოცანების, საერთო-სახელმწიფოებრივი საზრუნავის მკაფიო გაგება, პარტიული ხელმძღვანელობის დემოკრატიული საწყისების, პრინციპების მაღალი ჰუმანიზმი, ურღვევი ერთიანობა პარტიისა და ხალხისა, რომლებიც მშობლიური კომუნისტური პარტიის მორიგ ყრილობას ეგებებიან ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებული ახალი წარმატებებით. (საქინფორმი).

იპოლიტე ხვიჩია



ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ქართული საბჭოთა თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი 1939 წლიდან სკკპ წევრი იპოლიტე ალექსანდრეს ძე ხვიჩია.

იპოლიტე ხვიჩია დაიბადა წულუკიძის რაიონის სოფელ კონტუათში 1910 წლის 31 დეკემბერს, სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ხონის თეატრში. შემოქმედებითი ძიებებით იყო აღსავსე დამწყები მსახიობისათვის გეგეჭკორისა და ტყიბულის თეატრებში მუშაობის წლები. მისი სასცენო მოღვაწეობის ძირითადი პერიოდი დაკავშირებული იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრთან. აქ ოცი წლის განმავლობაში მან შექმნა სცენურ სახეთა მრავალფეროვანი გალერეა: ქუჩარა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), მაქსიმელა (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია"), კოვიელი (მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო"), ტრუფალდინო (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური"), პაპუტია (მ. გოგიაშვილის „გულსუნდა"), დახუნდარა (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი") და მრავალი სხვა.

საინტერესო სახეები შექმნა იპოლიტე ხვიჩიამ შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრშიც.

იპოლიტე ხვიჩიას მიერ შექმნილმა ორმოცდაათამდე ეკრანულმა სახემ მას საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოუტანა. იმთავითვე ახლობლები გახდნენ ხალხისათვის სახლმმართველი („ჩვენი ეზო") და ალმასხანი („საბუდარელი ჭაბუკი"), სანდრო („წარსული ზაფხული") და ყარამანი („ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი"), იპოლიტე („შეხვედრა წარსულთან") და სანდრო („არ იდარდო"), იპოლიტე („მხიარული რომანი") და ვარლამი („პირველი მერცხალი"), კუპკუში („ბურთი და მოედანი") და მრავალი სხვა.

სატელევიზიო ფილმში „დათა თუთაშხია" მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის თელავის III რესპუბლიკურ კინოფესტივალზე იპოლიტე ხვიჩიას ჟიურის სპეციალური პრიზი მიენიჭა.

თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ი. ხვიჩიას ქართული ესტრადის განვითარებაში.

კომუნისტი შემოქმედის, ყველასათვის საყვარელი მსახიობის, გულისხმიერი ადამიანისა და ნამდვილი მოქალაქის იპოლიტე ხვიჩიას სახელი მუდამ დარჩება ხალხის ხსოვნაში.

ე. შევარდნაძე, გ. გაბუნია, გ. ენუქიძე, ო. ჩერქეზია, ნ. ჯანბერიძე, ა. დვალიშვილი, თ. ბადურაშვილი, ნ. ბურგენიძე, ვ. ლორთქიფანიძე, ე. შენგელაია, გ. ლორთქიფანიძე, შ. ნიშნიანიძე, ს. ცინცაძე, ე. ამაშუკელი, ვ. ანჯაფარიძე, მ. თუმანიშვილი, რ. ჩხეიძე, ნ. ხანიშვილი, რ. სტურუა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა ი. ა. ხვიჩიას დამკრძალავი კომისია ა. ა. დვალიშვილის თავმჯდომარეობით.

ი. ა. ხვიჩიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ი. ა. ხვიჩიას დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 7 თებერვალს — თბილისის კინოსახლში 15 საათზე, გამოსვენება თბილისის კინოსახლიდან 17 საათზე.

წერილი თბილისიდან



როსტოვის ოლქის ქალაქ კრასნოსულინის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის „მშვიდობის მტრედის" წევრ გოგონებსა და ბიჭუნებს ეს დღე სამუდამოდ დაახსომდებათ. იმ დილით ფოსტამ თბილისიდან სქელი კონვერტი მოიტანა.

„ძვირფასო ბავშვებო!.. ძალზე გამახარა თქვენმა გულთბილმა, წრფელმა წერილმა, რომელიც გამსჭვალულია სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით საქართველოს მშრომელებისადმი, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად თავდადებით რომ შრომობენ ჩვენი მშვენიერი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ნათელი მომავლისათვის.

თქვენი კლუბი ძალზე სასარგებლო, კეთილშობილურ საქმიანობას ეწევა ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, თავისი წვლილი შეაქვს მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

დღეს კაცობრიობას არა აქვს იმაზე უფრო კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე მშვიდობისათვის ბრძოლა. თქვენ სწავლობთ სახელგანთქმული მე-18 არმიის მიერ განვლილ გზას, მცირე მიწის დამცველთა ლეგენდარულ გმირობას, ხსოვნაში აღადგენთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის უთვალავ მსხვერპლს და ამით დიდი წვლილი შეგაქვთ იმისათვის ბრძოლაში, რომ ჩვენს პლანეტაზე აღარასოდეს აღარ გაჩაღდეს ომის ხანძარი.

გმადლობთ ამისათვის, ძვირფასო ბავშვებო! აგრეთვე გთხოვთ ჩემი გულწრფელი მადლობა გადასცეთ თქვენს მასწავლებელს, ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელს ტატიანა ანდრიას ასულ ევტუხოვას და მის ქმარს ვიქტორ გრიგოლის ძეს, რომლებიც თქვენ გზრდიან საბჭოთა ხალხის საუკეთესო ტრადიციებით, გასწავლიან ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სიყვარულს.

კომუნისტური სალამით

ე. შევარდნაძე.

კრასნოსულინელი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრები ვერ ფარავდნენ სიხარულს ქართველ კომუნისტთა ხელმძღვანელის გულთბილი წერილის მიღების გამო. მან ხომ „მშვიდობის მტრედის" წევრი გოგონებისა და ბიჭუნების ხანგრძლივი და მიზანსწრაფული მუშაობის თავისებური შედეგები შეაჯამა, რომლებიც თავიანთ ახალგაზრდულ ძალებს ახმარენ მხურვალე ოცნების ახდენას: ემსახურონ მზიურ საქართველოსთან თავიანთი მშობლიური ქალაქის მოყვრობას, ძალ-ღონე არ დაიშურონ იმისათვის, რომ მათმა თანამემამულე კრასნოსულინელებმა რაც შეიძლება მეტი რამ გაიგონ იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში, რა წვლილი შეიტანა ჰიტლერელ დამპყრობთაგან მამულის დაცვაში. ასეთი მუშაობის დაწყებაში ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებს დაეხმარა ამაღელვებელი ფაქტი, რომელიც მათ შეიტყვეს. აღმოჩნდა, რომ კრასნოსულინის მეტალურგები ამზადებდნენ ცეცხლოვანი პროფესიის სპეციალისტთა კადრებს ახლად დაპროექტებული რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის.

ბავშვებმა პირველი წერილები მოიწერეს. პასუხმა არ დააგვიანა. მალე ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის „მშვიდობის მტრედის" მეგობრები და კორესპონდენტები გახდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, რუსთაველი ე. ა. კოსოვა, დიდი სამამულო ომის მონაწილენი გენერალ-მაიორი ვ. ე. ზარელუა, პროფესორი თ. გ. გოთუა, თვალსაჩინო მხედართმთავრის შვილი პოლკოვნიკი ო. კ. ლესელიძე, შ. დ. თათარაშვილი, დ. ი. ზაქარეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი მ. დ. დავითაშვილი, დიდი სამამულო ომის ბევრი სხვა მამაცი ჯარისკაცი. კრასნოსულინის ახალგაზრდობას ისინი უამბობდნენ იმ ბრძოლებისა და ლაშქრობების შესახებ, რომლებშიც პირადად მონაწილეობდნენ, თავიანთი მეგობრების, ომის გმირების შესახებ, რომელთა კეთილშობილური მაგალითი ახლა ნორჩებისათვის ცხოვრებაში სწორი გზის ნიშანსვეტები გახდა.

„მშვიდობის მტრედის" წევრი გოგონები და ბიჭუნები მალე თვითონ ესტუმრნენ საქართველოს. გულთბილად მიიღეს ისინი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელებმა, ქართველ მეფოლადეთა და ქიმიკოსთა ქალაქის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა. თბილისში ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრები იყვნენ გაზეთ „სოფლის ცხოვრების" და ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციებში, ხოლო ქალაქ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან შეხვედრის საღამო. აქ ინახება წმიდათაწმიდა წითელი დროშა, რომელიც 1941 წელს ბორჯომელებმა გადასცეს ფრონტზე მიმავალ თანამემამულეებს, მათ ეს დროშა ბერლინამდე მიიტანეს და იგი ბრძოლაში დაღუპული მეღროშის სისხლით არის შეღებილი. ამ დროშასთან გაიმართა ამაღელვებელი სჯა-ბაასი ლენინური პარტიის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ნორჩთა ერთგულების შესახებ.

ყველგან, სადაც კი ინტერნაციონალური კლუბის წევრები მიდიოდნენ, რუსულ, უკრაინულ, ქართულ ენებზე გაისმოდა სიმღერები სამშობლოზე, საბჭოთა ადამიანების საერთო მოვალეობაზე, რათა თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ მშობლიურ მიწაწყალს მტერთა თავდასხმებისაგან.

ინტერნაციონალური კლუბის წევრებს მიმოწერა აქვთ ომის 1612 მონაწილესთან, 80 ათას მეტრ მაგნიტოფონის ლენტზე ჩაწერილია მათი ხმები და განაწყვეტები. ისინი სათუთად ინახავენ მაგნიტოფონის ლენტზე ჩაწერილ სიტყვებს, რომლებიც მათ დაუტოვეს უკვე გარდაცვლილმა ამ კლუბის საპატიო წევრებმა ვლადიმერ ექვთიმის ძე ზარელუამ და ოთარ კონსტანტინეს ძე ლესელიძემ. ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებმა შექმნეს ფოტოალბომები, რომლებშიც მრავალი უნიკალური სურათია. მათი აგიტბრიგადა იყო ქვეყნის 60 ქალაქში, გამართა 150-ზე მეტი კონცერტი. „მშვიდობის მტრედის" საპატიო წევრთა შორის არიან საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი ვეტერანები. ახლა კი, გამარჯვების 40 წლის ზღვრის წინ, მათ დაიწყეს საკავშირო ძებნა თემაზე: „მუზებიც არ დუმდნენ". ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებმა ბევრ თვალსაჩინო საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეს სთხოვეს მოეთხროთ თუ როგორ გაუტოლეს დიდი სამამულო ომის წლებში ხიშტს კალამიც, ფუნჯიც, მოქანდაკის საჭრეთელიც. კერძოდ, თავიანთ საყვარელ მსახიობს ვახტანგ კიკაბიძეს სთხოვეს ეამბნა თავის მამაზე, რომელიც ჰიტლერელებთან ბრძოლაში დაიღუპა.

ვ. ვახტანგაძე,

საქინფორმი.

ცხოვრების მთავარი მიზანი

სომხურ და ქართულ ლიტერატურათა მეგობრობის დღესასწაულად იქცა შემოქმედებითი საღამო, რომელიც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მწერალ სურენ ავჩიანის დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა.

საღამოს გახსნისას, რომელიც 4 თებერვალს გაიმართა თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ თეატრში, იუბილარს გულთბილად მიულოცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ.

სურენ ავჩიანს — ქართული კულტურისა და ლიტერატურის პროპაგანდისტს, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მეხოტბეს გულითადად მიესალმნენ თბილისის სომხური თეატრის დირექტორი მწერალი გ. შაჰნაზარი, მწერლები ო. ნოდია, ბ. სეირანიანი, გ. ხუხაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ე. გუგუშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქ. კასრაძე და სხვები.

ქართული ცის ქვეშ დაბადებულ სურენ ავჩიანს ვერ წარმოუდგენია თავისი სიცოცხლე უთბილისოდ. იგი ხომ აქ გაიზარდა, გახდა პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე... მთელი მისი შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობა ორი ერის კულტურათა თანამეგობრობის იმ უმდიდრესი ტრადიციების განგრძობაა, რომლებსაც საუკუნეთა სიღრმეში აქვთ სათავე. ამიტომ მწერლის სახელი ერთნაირად ძვირფასია როგორც ქართველი, ისე სომეხი მკითხველებისათვის.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ს. ავჩიანმა მოძმე ერების ლიტერატურული კავშირურთიერთობის განმტკიცებაში. მისი შრომები — „შოთა რუსთაველი სომხურ ენაზე", „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული თეატრი", „ნიკოლოზ ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა", წიგნი — „ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობა" — საგულისხმო გამოკვლევებს წარმოადგენენ.

მკვიდრი თბილისელი ს. ავჩიანი, რომელმაც სრულყოფილად იცის ორივე ენა, ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწევა. მან ქართულიდან თარგმნა ნ. ბარათაშვილის „რჩეული", ა. ყაზბეგის, შ. არაგვისპირელის, კ. გამსახურდიას ნაწარმოებები, ქართველ მკითხველებს გააცნო ა. შირვანზადეს, გ. აღაიანის, ა. პარონიანისა და სხვათა შემოქმედება.

ს. ავჩიანი ბევრი საინტერესო პიესის ავტორია. მათ შორის არის „პელ-პუღი", „სოსი და ვართითერი", „საიათნოვა", „ზედსხძე" და სხვები, რომლებიც თბილისისა და სომხეთის თეატრების სცენებზე იდგმებოდა.

საღამო დაამშვენა სცენებმა სურენ ავჩიანის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლებიდან და მის ნაწარმოებებზე შექმნილმა ლიტერატურულმა კომპოზიციამ ს. შაუმიანის სახელობის თეატრის მსახიობთა შესრულებით. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ხელოვნების ოსტატებმა.

სურენ ავჩიანის შემოქმედებითს საღამოს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

ყინვება და თოვა საქართველოში

— 6 თებერვლის დილისათვის დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია თოვლით დაიფარა. მისმა სიმაღლემ ანასეულში 65 სანტიმეტრს მიაღწია, სამტრედიაში —28, ბათუმში — 22, ქუთაისში — 17, სოხუმში — 14, გაგრაში — 12 სანტიმეტრს. ჰაერის ტემპერატურა ღამით სუბტროპიკულ რაიონებში მინუს 1-3 გრადუსამდე დაიწია, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსმა ნ. ბერიძემ.

4 თებერვალს დაწყებული საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის დაწევა გამოიწვია ამიერკავკასიაში ევროპის ჩრდილო-დასავლეთი რაიონებიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრამ. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ჰაერის ტემპერატურა პლუს 12-17 გრადუსიდან 1-5 გრადუსამდე დაეცა, მოთოვა. ჰაერის ტემპერატურა სულ უფრო კლებულობდა. განვლილი დღეების მანძილზე თოვლი მოვიდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კახეთის გამოკლებით.

უახლოესი დღეების მანძილზე დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის შემდგომი დაწევა მინუს 6-7 გრადუსამდე. ამასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მუშაკებს ვურჩევთ საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ ყინვებისაგან ციტრუსების დასაცავად.

ყინვებმა და თოვამ სერიოზულად გაართულა რესპუბლიკის ტრანსპორტის მუშაობა.

როგორც სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოში გვაცნობეს, ავიალაინერების მიღებისა და გამგზავრებისათვის დაკეტილია სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის აეროდრომები, მთელი რიგი შუალედური აეროპორტები. ზოგიერთ ასაფრენ-დასაჯდომ ზოლზე თოვლის საფარის სისქემ 25 სანტიმეტრს მიაღწია.

დაძაბული ვითარება შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთელ რიგ უბნებზე.

შტორმის გამო ბათუმის საზღვაო ნავსადგურში მყოფი დატვირთული, მათ შორის მარცვლეულით სავსე გემები, იძულებული გახდნენ ნავმისადგომებიდან ღია ზღვაში გაეყვანათ, რამაც შეაყოვნა რკინიგზის ვაგონებში გადატვირთვა.

განმძვინვარებულმა სტიქიამ გააძნელა მოძრაობა მთელ რიგ საავტომობილო ტრასებზე.

სტიქიის შემოტევას ადამიანებმა ვაჟკაცობა და ორგანიზებულობა დაუპირისპირეს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნორმალიზაციისათვის.

იალტა: გაკვეთილები და პერსპექტივები

იდგა 1945 წლის თებერვალი. უკვე ამოდიოდა გამარჯვების მზე. დამთავრდა ევროპის განთავისუფლებისათვის დიადი ბრძოლის ერთ-ერთი უკანასკნელი შეტაკება. აზვირთებულმა საბჭოთა არმიამ ორ კვირაზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ხუთასკილომეტრიანი ნახტომი გააკეთა ვისლიდან ოდერამდე და პოლონეთის ჯართან ერთად პოლონეთიდან განდევნა საძულველი ოკუპანტები, ფაშისტური გერმანიის სასიცოცხლო ცენტრების პირისპირ გავიდა.

არსებითად, მთელი მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირისათვის იყო არა მარტო დიდი სამამულო, არამედ სხვა ქვეყნების თავისუფლებისათვის, ადამიანური ცივილიზაციის ხსნისათვის ომი. აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლებში განადგურდა ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი, თუმცა მან აგრესიის სამსახურში ჩააყენა მთელი კონტინენტური ევროპის სამრეწველო-ტექნიკური პოტენციალი. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდა შესაძლებელი ინგლის-ამერიკის ჯარების წარმატებული გადასხმა აპენინის ნახევარკუნძულზე და ნორმანდიაში, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის განთავისუფლება, იტალიის გამოსვლა ნაცისტურ გერმანიასთან კავშირიდან. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც ძირითად შემოტევას გაუძლო და ხერხემალი გადაუტეხა ჰიტლერულ არმიებს, არა მარტო ეს ქვეყნები იხსნა ფაშისტური რეჟიმის მარადიული დამკვიდრებისაგან, არამედ ოკუპაციისაგან გადაარჩინა ინგლისიც.

ყოველივე ამან მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებში საბჭოთა კავშირით, მისი არმიით აღტაცება გამოიწვია, მძლავრი აღმავლობა მიანიჭა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ისტორიაში პირველად სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის წამყვან სახელმწიფოთა შორის ასეთი ფართო მასშტაბისა და ასეთი სიღრმის სამოკავშირეო ურთიერთობა დამყარდა. მოკავშირეობას საფუძვლად დაედო მთავარის შეგნება: ამ ქვეყნების ძალების გაერთიანება აუცილებელი იყო კაცობრიობის ხსნისათვის, საერთო მიზნის მისაღწევად, ფაშიზმის განადგურებისა და მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად.

სამი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების — ი. ბ. სტალინის, ფ. დ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის ყირიმის (იალტის) კონფერენციამ, რომელიც 1945 წლის 4-11 თებერვალს გაიმართა, განსაკუთრებით სრულად წარმოაჩინა არა მარტო მონაწილე ქვეყნების, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფება ძალების გაერთიანებისადმი, რათა რაც შეიძლება მალე მიეღწიათ გამარჯვებისათვის და დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა დაემყარებინათ. ამის შედეგად კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ ერთად ემოქმედათ ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირის — მილიტარისტული იაპონიის უსწრაფესი განადგურების მიზნით, საფუძველი შეექმნათ მშვიდობიანი ომისშემდგომი მშენებლობისათვის და შეემუშავებინათ მისი პრინციპები. იალტაში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მრავალმხრივ განსაზღვრა XX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ცხოვრების განვითარება.

მაინც, რა არის ამ გადაწყვეტილებათა წარუვალი მნიშვნელობა? იგი მრავალწახნაგოვანია. უწინარეს ყოვლისა ეს გახლავთ მილიტარიზმის, ფაშიზმისა და აგრესიის დაგმობა. „ჩვენი ურყევი მიზანია, — განაცხადა სამმა სახელმწიფომ, — გერმანული მილიტარიზმისა და ნაციზმის მოსპობა და იმის გარანტიის შექმნა, რომ გერმანიამ ვეღარასოდეს ვეღარ დაარღვიოს მთელი მსოფლიოს მშვიდობა".

მეორე მსოფლიო ომის დროს ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა ხალხთა აზროვნებაში და მილიტარიზმისადმი დამოკიდებულებაში, და იალტის გადაწყვეტილებანი განამტკიცებდნენ იმ აზრს, რომ უნდა უარეყოთ და წინააღდგომოდნენ დამპყრობლური ომების მომზადებას და, მით უმეტეს, წარმოებას.

თვით გერმანიის მიწა-წყალზე ეს დროთა განმავლობაში იმით გამოიხატა, რომ აღმოსავლეთში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — იალტისა და პოტსდამის (სამი სახელმწიფოს კონფერენცია 1945 წლის ივლის-აგვისტოში) ძირითადი დებულებანი მთლიანად შესრულდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. დასავლეთში — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 50-იანი წლებიდან ხალხს თავს ახვევენ მილიტარიზაციის კურსს. ამის შედეგად ეს ქვეყანა დასავლეთ ევროპაში ჯარებისა და ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის ყველაზე დიდი კონცენტრაციის პლაცდარმად გადააქციეს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მოუხსნეს უკანასკნელი შეზღუდვები მძიმე არაბირთვული იარაღის წარმოებაში, რაც იმის წანამძღვრებს ქმნის, რომ ბუნდესვერი ნატოს დამკვრელ შემტევ ძალად გადააქციონ „საჰაერო-სახმელეთო შეტაკებათა" აგრესიული ამერიკული სტრატეგიის ფარგლებში. მაგრამ, მოსახლეობის დამუშავების მიუხედავად, რაც უკვე ათწლეულებია გრძელდება, ხალხი დღემდე არ შეეგუება მილიტარიზაციას და მისი წინააღმდეგობა არ სუსტდება.

იალტაში მილიტარიზმისათვის გამოტანილ განაჩენს უნივერსალური მნიშვნელობა აქვს. „ცივი ომის" თითქმის ოცწლიან პერიოდში და ახლაც უკვე მეხუთე წელია დასავლეთის იმპერიალისტური წრეები რეკლამას უწევენ „პოლიტიკას ძალის პოზიციიდან". მაგრამ ახლებურად შეფუთული მილიტარიზმი უფრო მისაღები როდი ხდება ხალხებისათვის. ეს ვაშინგტონმა საკუთარ ტყავზე იგრძნო ვიეტნამში თავისი ავანტიურის დროს, ლიბანის ქალაქებისათვის ცეცხლის დაშენისას, გრენადაზე თავდასხმისას, ხოლო დასავლეთ ევროპაში მაშინ, როცა თავს ახვევდა და იქ განალაგებდა თავის რაკეტულ-ბირთვულ იარაღს. მთელ მსოფლიოში მატულობს მძლავრი მოძრაობა კოსმოსის მილიტარიზაციის ამერიკული გეგმების წინააღმდეგ.

მაშინ, 45-ის თებერვალში, ლივადიის სასახლეში სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა განახორციელეს სხვა აქტიც, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ევროპაში მშვიდობიანი ომისშემდგომი მშენებლობისათვის, ისე თანამედროვე პერიოდისათვის. ეს აქტი გახლდათ ევროპის ქვეყნების საზღვრების, უწინარესად პოლონეთის დასავლეთი საზღვრების განსაზღვრა. გადაწყდა პოლონეთისათვის დაებრუნებინათ სლავთა ოდინდელი მიწა-წყალი.

იალტის შეხვედრის დოკუმენტები და მასალები, განსაკუთრებით პოლონეთის საკითხი, მოწმობს მწვავე ბრძოლას განთავისუფლებული ხალხების მომავლისათვის. საბჭოთა დელეგაციის მეთაური მტკიცედ მოითხოვდა „...ძლიერი, თავისუფალი და დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნას". ბოლოს და ბოლოს იალტაში კონფერენციის ყველა მონაწილე შეთანხმდა: „...პოლონეთმა არსებითად უნდა გაზარდოს თავისი ტერიტორია ჩრდილოეთით და დასავლეთით".

კონფერენციამ არ მოიწონა იმის ცდები, რომ ქვეყნის განთავისუფლების მსვლელობაში შექმნილი პოლონეთის მთავრობა შეეცვალათ ემიგრანტული მთავრობით, რომელიც მთელი ომის მანძილზე ლონდონში იყო მოკალათებული და უპირატესად რეაქციული ელემენტებისაგან შედგებოდა. ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმი, რომელმაც მილიონობით პოლონელი გაჩანაგებული ქვეყნიდან ლტოლვისათვის გასწირა, დაბრკოლებად აღიმართებოდა მისი სოციალური განვითარების გზაზე. მან უკვე ომის დროს საბოლოოდ გაიტეხა სახელი. ამის შემდეგ ძირმომპალე რეჟიმის გარედან თავს მოხვევა წარმოუდგენელი, პოლონელი ხალხის მიმართ დანაშაული იქნებოდა.

პოტსდამის კონფერენციის ერთობლივ დოკუმენტში უკვე სამივე სახელმწიფო სცნობდა პოლონეთის ეროვნული ერთიანობის დროებით მთავრობას და იმას, რომ „...აღარ სცნობენ (ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები) ლონდონში მყოფ ყოფილ პოლონეთის მთავრობას, რომელიც აღარ არსებობს".

საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის თანხმობა ომისშემდგომი მშვიდობიანი წყობის მთავარი დებულებების გამო ფიქსირებული იყო იალტაში მიღებულ ერთობლივ „დეკლარაციაში განთავისუფლებული ევროპის შესახებ". ამ დეკლარაციაში სამი სახელმწიფო აცხადებდა, რომ „ევროპაში წესრიგის დამყარება და ეროვნულ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნა მიღწეულ უნდა იქნეს ისეთი გზით, რომელიც განთავისუფლებულ ხალხებს საშუალებას მისცემს აღმოფხვრან ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელი ნაშთები და შექმნან დემოკრატიული დაწესებულებანი საკუთარი არჩევანით".

მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგეებმა საბოლოოდ როდი მიატოვეს იმის ცდები, რომ ჩრდილი მიეყენებინათ იალტაში შემუშავებული იმ პრინციპებისა და პრაქტიკისათვის, რომელთა მიზანი იყო დიდი სახელმწიფოების ერთიანობა მთავარ პრობლემებში, საეჭვო გაეხადათ ევროპაში ომისშემდგომი მშვიდობიანი წყობის საფუძვლები. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკელ ჟურნალისტებს შორის გაავრცელა „დოკუმენტი", თავისებური ინსტრუქცია-მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაშუქდეს იალტის 40 წლისთავი. ამ ინსტრუქციაში მოცემულია დარიგებანი, თუ როგორ გააუკუღმართონ საქმე ისე, თითქოს ევროპაში ომისშემდგომი მშვიდობიანი წყობა დიდი სახელმწიფოების ერთობლივი შეთანხმების შედეგი არ იყოს და ამრიგად გამოუქექონ ვაშინგტონს იმის „უფლება", რომ სხვა სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ერეოდეს. ზ. ბჟეზინსკიმ კი იუბილესთან დაკავშირებით გადაწყვიტა კაპიტალისტური სამყაროს ბობოლებისათვის შეეჩეჩებინა სოციალისტური თანამეგობრობიდან ცალკეული ქვეყნების „გამოგლეჯის" და ამ გზით ამ თანამეგობრობის დანგრევის მთელი კონცეფცია.

პოლიტიკური რეალიების ურღვეობა, საზღვრების ხელშეუვალობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების ძირითადი პირობაა. იალტაში შეთანხმებული გადაწყვეტილებების ხელყოფა მშვიდობის ხელყოფაა.

უფრო მოგვიანებით, პოტსდამის კონფერენციამ დაადასტურა პოლონეთის დამოუკიდებლობის, თავისი ოდინდელი მიწების დაბრუნების უფლება. დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილებამ „პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან გერმანელთა გასახლების შესახებ" დაადასტურა, რომ ეს აქტი საბოლოო და შეუქცევადი იყო. მაგალითად, როცა პოტსდამის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა განაცხადა: „... აქ განვიხილავთ არა დროებითი ხაზის, არამედ საზღვრების საკითხს. ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით", — არც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელს, არც ინგლისის ხელმძღვანელს საწინააღმდეგო არა უთქვამთ რა. ეს გასაგებია. „დიდი სამეულის" გადაწყვეტილებას გერმანელი მოსახლეობის გასახლების შესახებ ხომ მიზნად ჰქონდა ის, რომ ეს ეროვნული უმცირესობანი ვერასოდეს ვერ გამოეყენებინათ ახალი პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთლიანობის ხელყოფის საბაბად.

და თუ ამ გადასახლებულებს, ახლა კი უკვე მათ შთამომავლებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მაინც ბოროტად იყენებენ რევანშიზმის გასაღვივებლად, ეს მხოლოდ და მხოლოდ ადასტურებს იალტისა და პოტსდამის გადაწყვეტილებათა ისტორიულ მართლზომიერებას. ყოვლად უსაფუძვლოა დასავლეთის ცდები საეჭვო გახადოს პოლონეთის დასავლეთი საზღვრების კანონიერება, საქმე ისე წარმოსახოს, თითქოს ეს საზღვრები „საბოლოო არ იყოს". იმოწმებენ იმას, რომ საზავო ხელშეკრულება არ არსებობსო, დიდ სახელმწიფოებს ჯერ არ მოუმზადებიათ დოკუმენტი, რომელსაც „ამ მიზნით მიიღებდა გერმანიის მთავრობა, როცა ასეთი მთავრობა შეიქმნებაო". დიახ, პოტსდამის კონფერენციის ოქმში ნავარაუდევი იყო, რომ მის მიერ დაფუძნებულ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გამოიყენებდნენ საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად, მაგრამ ეს შეთანხმება სწორედ შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ჩაშალეს. გერმანია მათ უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო ბაზარზე საშიშ კონკურენტად მიაჩნდათ და ცდილობდნენ მის მაქსიმალურ დასუსტებას. ამერიკის პრეზიდენტმა ჯერ კიდევ თეირანში წამოაყენა წინადადება ხუთ ნაწილად დაენაწილებინათ გერმანია. 1944 წლის ოქტომბერში უ. ჩერჩილმა მოსკოვის მოლაპარაკებაზე წარმოადგინა ორ ნაწილად გერმანიის გაყოფის ინგლისური გეგმა, რომლის თანახმად უნდა შექმნილიყო პრუსია და ავსტრია-ბავარიის სახელმწიფო და საერთაშორისო კონტროლის ზონად გამოეყოთ რურ-ვესტფალიისა და საარის სამთო-სამრეწველო აუზები.

მაშინვე ლონდონსა და ვაშინგტონში მეორე ვარიანტსაც ამუშავებდნენ „დაენაწევრებინათ გერმანია, თუ თანდათან გადაექციათ მოკავშირედ, რათა ოცი წლის შემდეგ დაეპირისპირებინათ რუსების მხრივ საფრთხისათვის".. — წერდა თავის დღიურში დიდი ბრიტანეთის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი ალან ბრუკი. რა თქმა უნდა, დასავლეთის დედაქალაქებში ილუზიები არ ჰქონდათ იმ მხრივ, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ განზრახულ პაქტში ჩაითრევდნენ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონას.

ლივადიის სასახლეში ფ. დ. რუზველტმა განაცხადა, „დანაწევრების გარდა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავო". საკითხი მხოლოდ ის არის, „რამდენ ნაწილადაო". და აქ ამერიკის პრეზიდენტმა წარმოთქვა ფრაზა, რომელიც შემდგომში დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პრაქტიკულმა მოქმედებამ: „იქნებ ოკუპაციის ზონები პირველი ნაბიჯი იყოს გერმანიის დანაწევრების გზაზე". პირველ ნაბიჯს მოჰყვა მეორე, მესამე... აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია აღვადგინოთ დასავლეთგერმანული სეპარატული სახელმწიფოს შექმნის მთელი კალენდარი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერთიანი გერმანია, როგორც ასეთი, ომის შემდეგ არ აღდგენილა როგორც სახელმწიფო იმ მიზეზისა გამო, რომ მწვანე გზას აძლევდნენ „კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში" მისი დასავლეთი ნაწილის ჩართვის გეგმებს.

განვითარება იმ გზით არ წავიდა, როგორითაც „ცივი ომის" შტაბ-ბინებში გეგმავდნენ. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და მისმა აღმოსავლელმა მეზობელმა — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ გერმანული აგრესიის ძველთაძველი მეჯნა მეგობრობის საზღვრად გადააქციეს. 70-იანი წლების დამდეგს ევროპაში არსებული საზღვრების, მათ შორის პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ურღვეობა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც დაადასტურა ამ სახელმწიფოებთან და საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულებებში. ევროპაში დამთავრდა ომისშემდგომი პერიოდი. ჰელსინკში მიღებულმა საბოლოო აქტმა დაადასტურა ევროპის საზღვრების ურღვეობა, გააფართოვა მშვიდობიანი თანამშრომლობის ჰორიზონტები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის წყალობით.

თანამშრომლობა, რომლის განვითარება 70-იან წლებში დაიწყო, თავისებური გაგრძელება იყო ახალ პირობებში თანხმობის სულისკვეთებისა, იალტის სულისკვეთებისა, სადაც კონფერენციის ფედერაციულმა რესპუბლიკამოაცხადეს: „მხოლოდ ჩვენი სამი სახელმწიფოს და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის შემდგომი მზარდი თანამშრომლობით და ურთიერთგაგებით არის შესაძლებელი კაცობრიობის უზენაესი მისწრაფების რეალიზაცია — მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა...".

ლივადიის სასახლეში კონფერენციაზე მივაღწიეთ უმნიშვნელოვანეს მორიგებას ერთობლივი ძალისხმევით დაგვეფუძნებინა „საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაცია მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად". გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა, როგორც აღინიშნა ყირიმის კონფერენციის კომუნიკეში, „არსებითი უნდა იყოს როგორც აგრესიის თავიდან აცილებისათვის, ისე ომის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზეზების აღმოფხვრისათვის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მჭიდრო და მუდმივი თანამშრომლობის გზით".

მთავარში, ახალი ომის თავიდან აცილების უცილებლობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანხმობის იდეა ყირიმის კონფერენციის უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობაა. დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა კი არ კლებულობს, მატულობს. რას ადასტურებს განვლილი ოთხი ათწლეულის გამოცდილება? დასავლეთის სახელმწიფოები მალე ომის დამთავრების შემდეგ, მერე კი 80-იანი წლების დამდეგს არღვევდნენ მათ მიერვე აღიარებულ იალტისა და პოტსდამის პრინციპებსა და კონფრონტაციის გზას ადგებოდნენ. მერე? პირველ შემთხვევაში „ჯვაროსნული ლაშქრობის" კრახის ამბავი მთელმა მსოფლიომ იცის. ვაშინგტონის მიერ წამოწყებული კონფრონტაციის ახლანდელი ეტაპი კი მიუახლოვდა დიდმნიშვნელოვან მიჯნას, რომელიც შეიძლება გარდამტეხი გახდეს. მსოფლიომ არ უნდა გაიმეოროს 30-იანი წლების ტრაგიკული გამოცდილება, როცა დასავლეთმა, უარყო რა საბჭოთა წინადადებანი კოლექტიური უშიშროების სისტემის შესახებ, მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა უფსკრულში გადაჩეხა მსოფლიო.

საბჭოთა კავშირი იალტა-პოტსდამის ვალდებულებების წრფელად ერთგულია. იგი, ისევე როგორც წინათ, ომისა და მშვიდობის ძირითად საკითხებში დასავლეთის ქვეყნებთან თანხმობის მომხრეა. საბჭოთა კავშირის ფართო კონკრეტული პროგრამა მიზნად ისახავს შეანელოს გამალებული შეიარაღება. უკუაქციოს იგი, აღკვეთოს ბირთვული კატასტროფა. დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ჩვენ სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობას, კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის მგზნებარე მხარდაჭერას ვეყრდნობით.

ყირიმის კონფერენციის მომზადება დასავლეთის სახელმწიფოებში კოდირებული იყო სახელწოდებით „არგონავტები". ასე ეწოდებოდა ბერძნულ მითოლოგიაში გმირებს, რომლებიც ხომალდ „არგოთი" კოლხეთს ეწვივნენ ოქროს საწმისისათვის. იალტაში ანტიჰიტლერული კოალიციის მთავარმა მონაწილეებმა მიაგნეს ყველა დედამიწელისათვის ფასდაუდებელ მშვიდობის ფორმულას: რა გინდ დიდიც უნდა იყოს წინააღმდეგობანი, ახალი ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცების საკეთილდღეოდ შეთანხმება შესაძლებელი და აუცილებელია.

„პრავდა". 1985 წ. 6-II.

აგებენ შინმოუსვლელთა ობელისკს

ონი. (საქ. კორ.). დიდი სამამულო ომის [illegible] დღეებს 277 [illegible] სოფლის ცენტრში შინმოუსვლელთა ობელისკის მშენებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა. მის აგებაში მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. ნორჩი წითელკვალმაძიებლები აგროვებენ ჯარისკაცთა ფოტოსურათებს და ბიოგრაფიულ ცნობებს, აზუსტებენ დაღუპვის ადგილს.

ობელისკი დიადი გამარჯვების 40 წლისთავზე გაიხსნება.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების" საქართველოს საბჭოს ფეხბურთის განყოფილების გამგე ამხ. ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. რიგაში მიმდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე (უმაღლესი ლიგა) გათამაშდა მეათე ტურის პარტიები. ლპუტიანმა დაამარცხა ბელერი, სოკოლოვმა — სვეშნიკოვი. ყაიმით დასრულდა ჩერნინ-გურევიჩის, ეინგორნ-ა. პეტროსიანის, ტუკმაკოვ-გულკოს და მიხალჩიშინ-რაზუვაევის პარტიები. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. მეათე ტურის შემდეგ ჩემპიონატს ორნი ლიდერობდნენ — ეინგორნი და სოკოლოვი — 6,5-6,5 ქულა.

კალათბურთი. ლენინგრადში დაიწყო უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ახალი ეტაპი. ამჯერად უკვე რვა საუკეთესო კოლექტივი ასპარეზობს. გთავაზობთ პირველ დღეს გამართული შეხვედრების შედეგებს: ცსკა-კიევის ასკ — 111:90, კიევის „სტროიტელი"-მინსკის რტი — 64:63, რიგის ვეფი-ლენინგრადის „სპარტაკი" — 63:83, კაუნასის „ჟალგირისი"-თბილისის „დინამო" — 92:73.

წყალბურთი. გუშინ თბილისსა და კიევში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის საწყისი ეტაპი. თბილისში გამართული მატჩების შედეგები ასეთია: თბილისის „დინამო"-ტაშკენტის „მეხნატი" — 17:12, ლენინგრადის „ბალტიკა"-კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) — 5:6, ალმა-ათის „დინამო"-სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი—7:8.

ფიგურული ციგურაობა. შვეციის ქალაქ გეტებორგში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების პირველი კომპლექტი. სპორტულ წყვილებს შორის ევროპის ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს ლენინგრადელებმა ელენე ვალოვამ და ოლეგ ვასილიევმა. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ მათ თანაქალაქელებს ლარისა სელეზნიოვას და ოლეგ მაკაროვს, ბრინჯაოსი — მოსკოველებს ვერონიკა პერშინას და მარატ აკბაროვს.

ველოსპორტი. კუბის გზებზე დაწყებული მრავალდღიანი ველორბოლის პროლოგი (3,5 კმ), რომელიც ქალაქ ბარაკოაში გაიმართა, მოიგო ოლაფ იენშმა (გდრ). მისი შედეგია 3 წუთი და 58,6 წამი. მას ოდნავ ჩამორჩნენ კუბელი რობერტო როდრიგესი და კუიბიშეველი ასიატ საიტოვი. ამის შემდეგ გაიმართა პირველი ეტაპის რბოლა (153 კმ). იგი მოიგო კუბის პირველი ნაკრების წევრმა ედუარდო ალონსომ — 3 საათი, 33 წუთი და 35 წამი. მასთან 3 წამი წააგო ლუტც ლეჩემ (გდრ), 5 — ხარკოველმა ალექსანდრე ზინოვიევმა. ეს მრავალდღიანი ველორბოლა 12 ეტაპად გაიმართება და მისი ტრასის საერთო სიგრძე 849 კილომეტრია. შეჯიბრება 17 თებერვალს დასრულდება.

ჩოგბურთი. ქალაქ მემფისში (აშშ) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე საუცხოოდ იასპარეზა 19 წლის შვედმა სპორტსმენმა სტეფან ედბერგმა. მან ნახევარფინალში დაამარცხა მსოფლიოს მესამე „ჩოგანი" ჯიმი კონორსი (აშშ) — 6:1, 6:4, ფინალში კი სძლია ცნობილ ფრანგ სპორტსმენს იანიკ ნოას — 6:1, 6:0.

ჩემპიონის ტაიმ-აუტი

გუშინ უნდა გამართულიყო ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის 48-ე პარტია. მსოფლიო ჩემპიონმა გამოიყენა ტაიმ-აუტის აღების უფლება და ეს პარტია გათამაშდება 8 თებერვალს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

● აშშ

მიიღეს პროგრამა

ნიუ-იორკი. აქ მუშაობას განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდოეთის ოკეანის სპეციალური კომიტეტის სესია. სესიის მონაწილენი იხილავენ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს შეთანხმებები მშვიდობის ზონად ოკეანის გადაქცევის შესახებ. კომიტეტის წევრებმა მიიღეს თავიანთი მუშაობის პროგრამა, რათა კონფერენციის მომზადება დაამთავრონ უკვე წელს, როგორც ეს გადაწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 39-ე სესიამ.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-99, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-57-61, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.
საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 3-24-44 ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-90; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

6 თებერვალი ■ საქდესი იუწყება

დაიწყო საფრანგეთის კომპარტიის XXV ყრილობა

პარიზი. პარიზის მუშათა გარეუბანში, სენ-უენის სპორტის სასახლეში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXV ყრილობა. სასახლის უზარმაზარი დარბაზი ბოლომდე შევსებულია, ქვეყნის ყველა კუთხიდან მშრომელთა მებრძოლი ავანგარდის ფორუმზე ჩამოვიდნენ ფრანგ კომუნისტთა ექვსასათასიანი რაზმის დელეგატები. აქ არიან აგრეთვე ბევრი მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის, პროგრესული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წარმომადგენლები. ყრილობას ესწრება სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევის მეთაურობით.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობამ პოლიტიკური წრეების, პრესის, რადიოს, ტელევიზიის შეუნელებელი ყურადღება მიიპყრო, რომლებიც მას აფასებენ როგორც უმნიშვნელოვანეს მოვლენას ქვეყნის ცხოვრებაში. მისმა მონაწილეებმა უნდა გააანალიზონ თანამედროვე ვითარება საფრანგეთსა და მსოფლიოში, საფრანგეთის კომპარტიის საქმიანობა და გამოცდილება, რომელიც პარტიამ ბოლო პერიოდში დააგროვა, განსაზღვრონ ახალ ეტაპზე მშრომელთა ინტერესებისათვის კომუნისტთა ბრძოლის ამოცანები.

ყრილობაზე, რომელიც ხუთ დღეს იმუშავებს, აირჩევენ აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს.

საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ფართო ყრილობისწინა დისკუსიას, რომელიც ბოლო თვეებში კომპარტიის ყველა ორგანიზაციაში მიმდინარეობდა. დისკუსიის მსვლელობაში კომუნისტებმა ყოველმხრივ და ღრმად განიხილეს ყრილობის რეზოლუციის პროექტი, რომელიც საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა.

ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პარტიის წინა ყრილობის დროიდან, რომელიც სამი წლის წინათ გაიმართა, ქვეყანაში ახალი ვითარება შეიქმნა. სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც სათავეში უდგას ხელისუფლებას, დაივიწყა 1981 წლის არჩევნების წინ მემარცხენე ძალების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. კომუნისტებმა აქედან სათანადო დასკვნები გამოიტანეს, როცა 1984 წლის ზაფხულში მიიღეს გადაწყვეტილება აღარ მიეღოთ მონაწილეობა მთავრობაში. ბოლო თვეებში მკვეთრად გაძლიერდა მსხვილი კაპიტალისა და მემარჯვენე ძალების, აგრეთვე ამერიკის იმპერიალიზმის ზეგავლენა, რომლებიც საფრანგეთისაგან მოითხოვენ გამალებულ შეიარაღებაში უფრო აქტიურ მონაწილეობას.

როგორც გაზეთმა „ლუმანიტემ" აღნიშნა, შეაჯამეს რა ყრილობისწინა დისკუსიის შედეგები, კომუნისტთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ, პარტიის რიგებისა და მასობრივი ბაზის განსამტკიცებლად განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის გააქტიურებას. მხარდაჭერა პოვა აგრეთვე საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებულმა კურსმა ქვეყანაში შეიქმნას ხალხის უმრავლესობის ახალი გაერთიანება სოციალიზმისაკენ წინსვლისათვის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება პარტიის საქმიანობისა და ამოცანების შესახებ ყრილობაზე წაიკითხა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ.

საზღვრის გახსნის ცერემონია

მადრიდი. გაიმართა გიბრალტარისა და ესპანეთის გამყოფი საზღვრის გახსნის ოფიციალური ცერემონია. ამრიგად, გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯი გიბრალტარის პრობლემის მოწესრიგების გზაზე, რომელიც 280 წელზე მეტია ართულებს ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას, რომლის კოლონიაც 1704 წლიდან არის პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთით განლაგებული ეს ტერიტორია. დროთა განმავლობაში გიბრალტარის პრობლემის სიმწვავე აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, ამ პატარა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობით, რომლის ფართობი უდრის 6,5 კვადრატულ კილომეტრს და მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 30.000 კაცს.

როგორც ცნობილია, 1969 წლის მაისში ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა ტერიტორიის ავტონომიური სტატუსი, ხოლო იმავე წლის ივნისში ფრანკისტულმა რეჟიმმა საპასუხო ნაბიჯის სახით დახურა საზღვარი.

ჟენევა. აქ გიბრალტარის პრობლემის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის დელეგაციებმა. მოლაპარაკება მიმდინარეობს ესპანეთ-ბრიტანეთის გასული წლის ნოემბერში ბრიუსელში ხელმოწერილი დეკლარაციის პირობების შესაბამისად. ლონდონი მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა მონაწილეობას გიბრალტარის სუვერენიტეტის საკითხის განხილვაში, თუ გაიხსნებოდა საზღვარი.

ახლო აღმოსავლეთი

ბოლო მოეღოს ოკუპანტთა თვითნებობას!

ამანი. დღითი დღე მწვავდება ვითარება ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომელთა მოსახლეობა მოითხოვს ბოლო მოეღოს სიონისტთა თვითნებობასა და გაათავისუფლონ არაბული მიწები. აქ მოსული ცნობებით, ისრაელის არმიამ დააწესა კომენდანტის საათი ქალაქებში რამალაჰსა და ელ-ბირში, აგრეთვე მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ალ-ამრის პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკში. ოკუპანტებმა ალყაში მოაქციეს ად-დუჰეიშის პალესტინელთა ბანაკი და იქ აწარმოებენ ჩხრეკას. როგორც უცხოელი ჟურნალისტები მოწმობენ, დასავლეთ ნაპირის მთელ ტერიტორიაზე გრძელდება არაბული მოსახლეობის მასობრივი დაპატიმრება. რამალაჰში ასობით პალესტინელი მიიყვანეს საპოლიციო უბნებში, სადაც მრავალი საათის მანძილზე დაჰკითხავდნენ მათ.

მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე დაძაბულობა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც წინა კვირის დამლევს ისრაელმა ოკუპანტებმა მოაწყვეს დაპატიმრებათა სერია ად-დუჰეიშის პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკში, რომლის მცხოვრებლებმა პროტესტი განაცხადეს ახლო მდებარე გასამხედროებული დასახლებების სიონისტ არამზადათა მიერ რბევისა და თვითნებობის წინააღმდეგ. თელ-ავივის მმართველებმა არათუ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ექსტრემისტთა პროვოკაციულ გამოხდომებს, არამედ დაიმუქრნენ კიდეც, რომ თუ პალესტინელები წინააღმდეგობას არ შეწყვეტენ, ბანაკს მოსპობენ, მის ბინადართ კი — 8 ათასზე მეტ კაცს — გარეკავენ დასავლეთი ნაპირებიდან ან სპეციალურ რეზერვაციებში გადაიყვანენ.

თავდაცვის მინისტრმა რაბინმა ვაშინგტონიდან დაბრუნებისთანავე განაცხადა, რომ არმია ყოველ ღონეს იხმარს, რათა აღადგინოს „წესრიგი" ამ რაიონში. მან თქვა, რომ სამხედრო ხელისუფალნი ოკუპირებული მიწების ფარგლებიდან გააძევებენ ყველას, ვინც პროტესტის გამოთქმას გაბედავს.

ფოტოფაქტი

ისრაელ აგრესორთა მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანში ინტერვენტები სასტიკად გაუსწორდნენ ლიბანის რვა სოფლის მცხოვრებლებს. თავით ფეხამდე შეიარაღებული ისრაელი დამსჯელები სატანკო ქვეგანაყოფის მხარდაჭერით შეიჭრნენ მაარაქის, თაურის, აბასიისა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ცეცხლი დაუშინეს მშვიდობიან მცხოვრებლებს, რის შედეგადაც მოკლეს ოთხი და დაჭრეს ათობით ადამიანი. 70-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს.

სურათზე: სოფელ მაარაქზე სიონისტთა თავდასხმის შემდეგ.

აპ-საქდესის ტელეფოტო.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

7 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — კინომოგზაურთა კლუბი. 10.35 — კონცერტი. 11.00 — „პატარა ტრაგედიები". II სერია. 12.10 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.45 — კონცერტი. 17.00 — ახალი ამბები. 17.05 — ადამიანი მიწის ბატონ-პატრონია. 18.05 — საჭადრაკო სკოლა. 18.35 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.15 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. „ორი სამყარო — ორი პოლიტიკა". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — მხატვრული ფილმი „ვიბორგის მხარე". 22.00 — „ვრემია". 22.50 — პოეზია. ს. ნაროვჩატოვი. 23.10 — ფილმ-კონცერტი „ალიბეკ დნიშევი". 23.55 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.05 და 14.15 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 12.05 — რუსული მეტყველება. 13.30 — ტიციან ტაბიძის პოეზია. 14.45 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „გადამდგარი პოლკოვნიკი". 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — სოფლის საათი. 20.20 — კალათბურთი. ვაჟები. ცსკა — ლენინგრადის „სპარტაკი". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.20 — ი. ბრამსის საფორტეპიანო ნაწარმოებები. 22.00 — „ვრემია". 22.50 — „პატარა ტრაგედიები". III სერია. 24.00 — საგიტარო მუსიკის კონცერტი. 0.15 — ახალი ამბები.

თბილისი

7 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი და შენი მიწა". 10.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „პატარა ტრაგედიები" II სერია (მ.). 12.10 — მასწავლებლის საათი — დაწყებითი განათლება. 12.50 — ახალი ამბები. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (სტუდიაში ნ. სიხარულიძე). 16.05 — ახალი ამბები. 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (სტუდიაში მ. დოხტურიშვილი). 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხილი, ბოსტნეული და ვარდები". 17.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ადამიანი კაცობრიობისათვის". 17.45 — განცხადებები. 17.50 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაჟიშვილთან". 18.25 — „კვარტეტის ისტორიიდან" — ბეთჰოვენი. 19.15 — მულტფილმი „ჯადოსნური ტბა". 19.30 — „მოამბე". 20.00 — „არჩევნების შესახვედრად". 22.00 — „ვრემია". 22.50 — მხატვრული ფილმი. დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.20 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის — მხატვრული ფილმი „მეომარი ქალი". 17.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი მშვილდი და ისარი". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

თეატრი

7 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ ჟუანი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რიჩარდ III; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯაყოს ხიზნები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — კომბლე (IX აბონ. II წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მაინც დამიტოვეთ;

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 08460 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20